C M Y K

საერთო გაზეთი

№37 (304) ● 29 ოქტომბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

მიხეილ სააკაშვილი — დასავლურ ჭინჭებში შეფუთული რუსული ბომბი

რუსებს თუ დასჭირდებათ, დასავლეთის მოსყიდვაც შესანიშნავად გამოსდით და თავის აგენტურას ისე ლამაზად შეაფუთინებენ ხოლმე დასავლელ „მოკავშირეებს“, გეგონება, რუსეთის აგენტი კი არა დასავლური ღირებულებების ერთგული და თავდადებული მებაირახტრეაო.

თემურ მირიანაშვილი:

მსოფლიოს პოლიტიკური წრეებისთვის სააკაშვილი იმდენად საშიში კაცია, ან მოკლავენ, ან გააგიჟებენ! თუმცა, გიჟი ხომ ისედაცაა...

ლადო ბედუკაძე:

როგორ იკერებოდა სისხლის სამართლის საქმე და რა გზით აპირებდა სააკაშვილის რეჟიმი ირაკლი ღარიბაშვილის დაპატიმრებას?!

მანანა კობახიძე:

ვისი დახმარებით გეგმავს სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას?

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ჩვენ მრავალწლიანი ტოტალური ძალადობის შედეგად ფსიქიკურად დაინვალიდებული საზოგადოება ვართ...

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ მიმართვა საქართველოს მოსახლეობას!

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ 6 ნოემბერს, 6 საათზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ დარბაზში ატარებს გაფართოებულ შეკრებას და იწვევს ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და ხელშეუხებელია ქართული ეროვნული ღირებულებები, დედა-ეკლესია; ვინც აღარ მოითმენს „ნაციონალური მოძრაობის“ აღვირახსნილ პარპაშს, იმ გამუდმებულ მუქარებსა და ყელყელაობას, რაც სამოქალაქო ომის გარდაუვალ წინაპირობას ქმნის.

დავდგეთ ერთად, რომ საბოლოოდ დავუსვათ წერტილი საქართველოს გამანადგურებელ „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტ განშტოებებს!

რეზო ამაშუკელი
საზოგადოებრივი მოძრაობა
„ლაზარე“

საერთო გაზეთი — გაზეთი მოაზროვნე ეკითხველისთვის

ცვლილებების 2 წელი

ორშაბათს, 27 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებას ორწლიანი საქმიანობის ანგარიში წარუდგინა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს პრემიერის გამოსვლის ტექსტიდან.

„დღეს ჩვენ ვიმკით იმ შედეგებს, რაც სიძულვილის ენას, გაუაზრებელ ნაბიჯებს და დაუბალანსებელ პოლიტიკას მოჰყვა. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია, საქართველოს ტერიტორიაზე კი ახალი მავთულხართებია გაბმული. ოკუპირებულია წლობით ნალოლიავები და შენარჩუნებული კოდორის ხეობა. ამ პოლიტიკის შედეგია 10 ათასობით ახალი დევნილი და საქართველოს შუაგულში გაჩენილი დევნილთა ახალი დასახლებები. ეს არის უმთავრესი გამოწვევა, რის წინაშეც ჩვენი ხელისუფლება დგას".

„28 სოფელი დაგვხვდა საერთოდ ელექტროენერგიის გარეშე. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ იმ ხელისუფლების ხელში, რომელიც თავს იწონებდა აღმშენებლობით, ხალხი უწამლობისა და უექიმობის გამო იღუპებოდა. აი, ასეთი ქვეყანა გადმოვიბარეთ ჩვენ. სწორედ ამიტომ ჩვენ დავიწყეთ სასწრაფოდ ამ რეალობის შეცვლა, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიეცეს ხალხს ამოსუნთქვის საშუალება".

„ჩვენ დავიწყეთ კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის ინიციატორი ბატონი ბიძინა ივანიშვილია - ზუგდიდში, სოფელ რუხში დაიწყო მულტიპროფილური, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა. ეს კლინიკა იქნება ძალიან დიდი შესაძლებლობა არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონისთვის, არამედ ჩვენი აფხაზი ძმებისთვისაც".

„ჩვენ გავაორმაგეთ დახმარება სოციალურად დაუცველებისათვის, გავაორმაგეთ დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობები. ვიცით, რომ არც ეს არის საკმარისი, მაგრამ ვალდებული ვართ, მაქსიმუმი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მათ ცხოვრების ადამიანური პირობები ჰქონდეთ. დევნილები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ აბსოლუტურად უღირს პირობებში. 2012 წლის ოქტომბრიდან დევნილებს სოციალური პაკეტის ფარგლებში 14,5 მილიონი ლარის დახმარება გაეწიათ. საცხოვრებლით უკვე უზრუნველყოფილია 10 ათას 500 დევნილი. 1 ლარად საცხოვრებელი ფართობი დაუკანონდა და კერძო საკუთრებაში გადაეცა 4 ათასამდე ოჯახს. ჩვენი მიზანია, არც ერთი დევნილი არ დარჩეს საკუთარი ჭერის გარეშე".

„მეორე წელია, სკოლის მოსწავლეები უფასოდ იღებენ სახელმძღვანელოების კომპლექტს და ამან 60 პროცენტამდე შეამცირა ოჯახის წლიური დანახარჯი ზოგად განათლებაზე - მოსწავლეების მშობლები ყოველწლიურად 75 მილიონ ლარს ზოგავენ".

„განსაკუთრებული წინსვლა გვაქვს ექსპორტის კუთხით. 2012-2014 წლებში საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა 24 პროცენტით, მათ შორის, 2012 წელთან შედარებით, ექსპორტი ევროკავშირთან 70-პროცენტით, ხოლო რუსეთთან - 534-პროცენტით. 2 წლის განმავლობაში, ბოსტნეულის ექსპორტი გაზრდილია 53%-ით, ხილი - 91%-ით, მინერალური წყლები - 159%-ით, ღვინო - 221%-ით; ხოლო ციტრუსი - 1040%-ით".

„ჩემი ინიციატივით საქართველოში ფუძნდება „აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმი", რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს სავაჭრო-ეკონომიკურ მიმართულებებს. ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდი ლარით და გახდა სოციალურად ორიენტირებული".

„კერძო სექტორისთვის გამოიყო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100 საწარმო, რომელიც წლების განმავლობაში დაკეტილი იყო და ყურადღებას არავინ აქცევდა, და ბიზნესს მიეცა საშუალება, ეს ქონება შეიძინონ სიმბოლურ ფასად, 1 ლარად".

„ჩვენ ვეხმარებით მცირემიწიან ფერმერებს საგაზაფხულო სამუშაოებში - 2 წლის განმავლობაში დაიხნა 420 ათასი ჰექტარი მიწა. ყოველ წელს 800 ათასი გლეხი იღებს დახმარებას სახელმწიფოსგან. ამაში 300 მილიონამდე ლარია დახარჯული. ასეთი პრეცედენტი საქართველოში არ ყოფილა, სოფელს ასეთი დახმარება არ ახსოვს. გლეხებს უსასყიდლოდ მივაწოდეთ 9 მილიონამდე ლარის ღირებულების სათესლე მასალა, 48 მილიონ ლარამდე ღირებულების შხამქიმიკატები, 54 მილიონამდე ლარის ღირებულების ინვენტარი. და ეს ყველაფერი არ არის - ამოქმედდა შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი. 2013 წლის მარტიდან გაცემულია 492 მილიონი ლარის 21 ათას 400 აგროკრედიტი. წარმოიდგინეთ, მეგობრებო, ესაა ნახევარი მილიარდის ინვესტიცია მხოლოდ ამ პროექტში და ახალი საწარმოებისთვის, რომლის უმნიშვნელოვანეს შედეგებს უახლოეს მომავალში ყველა დაინახავს."

„გზებიც შენდება და ხიდებიც. დღემდე 2 მილიარდ 400 მილიონი ლარია დახარჯული. უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, მხოლოდ ერთ ციფრს მოვიტან. წინა ხელისუფლებამ თავის ორ ვადაში ჩქარისნული ავტომაგისტრალის მხოლოდ 70 კილომეტრი დააგო. ჩვენმა მთავრობამ მხოლოდ ორ წელიწადში 40 კილომეტრი უკვე დააგო და წლის ბოლომდე ამ გზის კიდევ 18 კილომეტრი დაიგება. აი, ეს არის, ბატონებო, რეალობა, დანარჩენი თავად განსაჯეთ. მეტსაც გეტყვით, ჩვენ დავიწყეთ პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთის დამაკავშირებელი გზის გაყვანა არხოტის ხეობაში, იმ გზის, რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა. გარდა ამისა, რეგიონებში ვახორციელებთ უამრავ პროექტს. ავაშენეთ 16 ახალი ხიდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 554 კილომეტრ გზას და 87 ხიდს. ჩვენი მიზანია საბოლოოდ გზებისა და ხიდების პრობლემა არც ერთ სოფელში არ დარჩეს".

„ვიცი, რომ საზოგადოებას აღელვებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი და ამიტომ მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ჩვენ არ ვიღებთ არც ერთ გადაწყვეტილებას ისე, თუ არა გვაქვს კვალიფიციური ექსპერტული დასკვნა და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ პროექტების განხორციელებას. გარდა ჰიდროელექტროსადგურებისა, ჩვენ ვმუშაობთ ალტერნატიულ წყაროებზეც. დავიწყეთ ქარის სადგურების პროექტის განხორციელება".

„გაუქმდა სადამსჯელო ორგანიზაციები - სოდი და კუდი. განადგურდა უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ათასობით ვიდეო ჩანაწერი. ეს იყო სირცხვილი, რომლის განმეორებას ჩვენ აღარასდროს დავუშვებთ!"

„ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს სამხედროებზე. 2013 წლიდან ჩვენ გავზარდეთ შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების ხელფასები 20-25 პროცენტით. ჩვენ არ ვივიწყებთ მათაც, ვინც თავი შესწირა სამშობლოსათვის ბრძოლას".

„განხორციელებულმა მართლმსაჯულების რეფორმამ, ხელისუფლების გაცხადებულ პოლიტიკურ ნებასთან ერთად, ხელი შეუწყო სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. რეგიონებში უკვე გაიხსნა 12 და წლის ბოლომდე გაიხსნება 5 ახალი საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც 100 ათას მოქალაქეს მოემსახურება და სოფლიდან გაუსვლელად 200-ზე მეტი სერვისის მიღება იქნება შესაძლებელი".

„მინდა კიდევ ერთხელ შევეხმინო ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს - ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ, ერთი ტკივილი გვაერთიანებს და ერთად უნდა გავაგრძელოთ გზა მომავლისაკენ".

„ჩვენ ძალიან მძიმე წარსული გადავიტანეთ ყველამ ერთად, იყო ძალიან მძიმე შეცდომები, მაგრამ დღეს ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში და ჩვენ გთავაზობთ, ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ საქართველოში. მე მჯერა, რომ თქვენ შეიძლება ჯერ კიდევ გაქვთ ნდობის პრობლემა, მაგრამ შეხედეთ ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს მიდგომას. ჩვენ რეალურად გვაქვს ძალიან დიდი წინსვლის პერპექტივა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა განვითარება თქვენს გარეშე. ასე რომ, კიდევ ერთხელ, მინდა მოგიწოდოთ ყველას - ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, კიდევ ერთხელ კარგად გააანალიზეთ და დაფიქრდით, რომ ეს არის ერთიანი საქართველოს ტერიტორია. თქვენ იყავით ავტონომიური რესპუბლიკა და ჩვენ გთავაზობთ იგივეს, რომ გქონდეთ ავტონომია, მაგრამ ერთიანი, ძლიერი საქართველოს ფარგლებში და ვიცხოვროთ მშვიდად. ეს არის ჩემი კიდევ ერთი ძმური და მეგობრული შემოთავაზება".

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოლოში"; ტელ.: 599 95 31 90

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მიხეილ სააკაშვილი — დასავლურ ჭინჭებში შეფუთული რუსული ბომბი

შაბათს, 25 ოქტომბერს, საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საკუთარი ტელევიზიის („რუსთავი-2“) ეკრანიდან გამოგვეცხადა და საქართველოს მოსახლეობას ღიად მოუწოდა ხელისუფლების შეცვლისკენ, ოღონდ არა ძალადობრივი, არამედ „შვიდობიანი“ გზით (ორ თანხმოვანს გადაბმულად ვერ ამბობს ტიპი, თორემ მშვიდობიანი უნდა ეთქვა...).

— არავითარ შემთხვევაში ძალადობა, მხოლოდ შვიდობიანი გზით უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ ძალაუფლება დათმოსო — ბარემ ათჯერ გაიმეორა ეს ფრაზა „ექსმა“, მაგრამ ვერა და ვერ დააკონკრეტა, როგორ და რანაირად უნდა მოხერხდეს ეს „შვიდობიანი“ გზით, როცა ქართველი ხალხის უმრავლესობა მხარს არ გიჭერს, როცა ქართველი ხალხის უმრავლესობას ჭირის დღესავით ეზიზღები და ეზარები?

მსგავს შემთხვევაში, როგორ ხერხდება წარმატების მილწევა, იცის ეს მიხეილმა, მშვენივრად იცის, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა ხომ ვერ ილაპარაკებს, რადგან ეს მეთოდები ისე შორს დგას მშვიდობის და დემოკრატიისგან, როგორც თავად ცრუპენტელა მიხეილი სიმართლისა და გულწრფელობისგან.

მიხეილმა გადასარევად იცის, რა უმძიმესი მემკვიდრეობა დაუტოვა „ქართულ ოცნებას“ და სინამდვილეში რას წარმოადგენს ის ქვეყანა, რომელიც მის დროს ვითომ ჰყვაოდა და იფურჩქნებოდა.

მან იცის, როგორ გაღატაკდა და გაუბედურდა საქართველოს მოსახლეობა მისი ცხრაწლიანი კოშმარული მმართველობის პერიოდში და ის სწორედ მის მიერ დატოვებული ამ უბედურების სარფიანად გამოყენების ხარჯზე აპირებს უკან მობრუნებას.

უკიდურესი სიღატაკე, ტოტალური უმუშევრობა, ნარკომანია, ასიათასობით დევნილი, უსახლკაროთა და სოციალურად დაუცველთა მთელი არმია, უპერსპექტივობა, უიმედობა, ცხრა წლის განმავლობაში დაგროვილი აგრესია — აი, მიხეილის მიერ ქართულ სინამდვილეში ჩაფლული „უძვირფასესი განძი“, რომლის ამოთხრას და საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენებას აპირებს იგი.

არა იმ ასი თუ ორასი ახალგაზრდის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, რომლებსაც მიხეილი რომელიღაც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საიდუმლოდ ხვდებოდა თურმე

ა რ ა რ ი ს საიდუმლო, რომ ნაცმოძრაობას და მასთან დაახლოებულ ე. წ. ბიზნესმენებს მილიარდები აქვთ ქვეყნიდან გატანილი.

ამ მილიარდების თუნდაც ნაწილი უკან რომ შემობრუნდეს, ქვეყანაში, გვერწმუნეთ, ფულის ამღები და თუ საჭირო გახდება, იარაღის ამღებიც ძალიან ბევრი გამოჩნდება.

ა რ ა ვ ი ს თ ვ ი ს

ა ი, ამის იმედი აქვთ მიხეილს და მის თანამოაზრეებს და ამიტომაც არიან ოპტიმისტუ-

რ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ნ ი.

„შვიდობიან“, დემოკრატიულ, სამართალზე და კანონზე დამყარებულ სახელისუფლო ცვლილებებს კი არა მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდა საშინელებას უმზადებს ქვეყანას, რომლის მასშტაბებიც, როგორც ჩანს, სათანადოდ არ აქვს გააზრებული ხელისუფლებას, ხოლო თუ გააზრებული აქვს და მაინც ასე შორიდან და შორიახლო აპირებს მოვლენების განვითარებისთვის თვალის მიდევნებას, ვფიქრობთ, ეს სერიოზული შეცდომაა, რადგან შეიძლება პროცესები ისე ელვისებურად წაეწყოს ერთმანეთს, რომ მათზე რეაგირება და მათი შეჩერება შეუძლებელი გახდეს.

რ ა ტ ო მ ღ ა ც მ ე გ ო ნ ა, რ ო მ ა მ ა ვ ა დ ა ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ი ი ნ ტ ე რ ვ ი უ ს გ ა ს ვ ლ ი ს თ ა ნ ა ვ ე თუ არა მეორე დღეს მაინც ხელისუფლება განგაშის ზარებს შემოჰკრავდა და კაცს, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების გეგმას ღია ეთერში საჯაროდ მიმოიხილავდა, სათანადო ბრალდებას წაუყენებდა და მის წინააღმდეგ შესაბამისი მუხლით სისხლის სამართლის საქმესაც აღძრავდა.

მიხეილ დამაქცევარმა 2008 წლის აგვისტოს ამბებიც გაიხსენა და ამაყად განაცხადა: რუსები ჩვენ გავაჩერეთ, თორემ თბილისის აღებას აპირებდნენო.

რა თქმა უნდა, იმაზე არაფერი უთქვამს, რუსული ჯარის შემოჭრას საქართველოში მან თვითონ რომ შეუწყო ხელი თავისი პროვოკაციული ქმედებებით და ყოველივე ამას ქართული ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვა მოჰყვა.

— სამაგიეროდ, აჭარა დავიბრუნეთო, — ჩვეულებისამებრ, ყელი მოიღერა მიხეილმა.

აჭარას რა სჭირდა შენი დასაბრუნებელი, შე ყელმოღერებულო, შენაო —

5 gv.

ვისი დახმარებით გეგმავს სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას?

„საერთო გაზეთი“ პარლამენტის ვიცე-სპიკერს მანანა კობახიძეს ესაუბრა.

— კარგა ხანია, მიდის საუბარი, რომ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავს, მეტიც, ორიოდე დღის წინათ, ექსპრეზიდენტმა ფაქტობრივად, დაადასტურა ეს ერთ-ერთ ინტერვიუში, ამასთანავე „ნაცებმა“ 15 ნოემბერს აქცია დააანონსეს, რას უნდა ველოდეთ, რას ფიქრობს და რა ინფორმაცია აქვს პარლამენტის ვიცე- სპიკერ მანანა კობახიძეს ?

— სააკაშვილის ინტერვიუს ცოტა ღრმად თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ მისი ოცნება, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლაა. დიახ, ეს, როგორც ჩანს, ასეა, მათ სურთ იმ მეთოდებით, რა მეთოდებიც მათთვის მიღებულია - ე.წ. რევოლუციური მეთოდები მოახერხონ ხელისუფლების ცვლილება. მე ეს ტექსტი ამოვიკითხე მის ინტერვიუში. სწორედ იმიტომ, რომ სააკაშვილი პირდაპირ ამბობს, აი, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება არ დაუშვებს არჩევნების გზით ხელისუფლების გადაბარებასო. მან სწორედ ეს თქვა, ამიტომ რატომ უნდა ვუცადოთ ამ ყველაფერს ხალხოო, დიახ, თითქოს ჩვენ არ გვაქვს იმის ნება, რომ არჩევნების გზით დავთმოთ რაიმე. ეს არის პირდაპირ პროვოკაციული განცხადება. ეს არის ის შინაარსი, რომელსაც, ფაქტობრივად, ატარებს ნაციონალური მოძრაობა თავის თავში, იმიტომ, რომ ისინი არიან სწორედ ძალადობრივი გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას შეჩვეულნი. ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, რომ მათი რეჟიმი შეცვალა სწორედ არჩევნების გზით და ჩვენ არ დავუშვებთ ხელისუფლების ცვლილებას რაიმე სხვა ფორმით, თუ არა არჩევნების გზით. გარდა ამისა, მოდით, ხალხს ვკითხოთ, რამდენად უნდა ისმინოს ის დემაგოგია, რაც ისმინა რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილისგან (ხალხი ვახსენე, ამის მოსმენა სურს მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილის, რომელიც არის ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, ეს არის უმცირესობა). დიახ, რამდენად სურს საზოგადოებას, რომ ისევ რაღაც ლოზუნგები ისმინოს სააკაშვილისგან?! რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ბევრი თანამემამულე, საღად მოაზროვნე ადამიანი ამ ინტერვიუმ გააღიზიანა. შეიძლება ეს ადამიანები სულაც არ იყვნენ ხელისუფლების მხარდამჭერები, ან ქართული ოცნების წევრები, იმიტომ, რომ შეიძლება სრულიად აპოლიტიკური ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათ არ უნდათ სააკაშვილის ლოზუნგებს უსმინონ და ნაციონალური მოძრაობა ოდესმე კიდევ იხილონ ხელისუფლების სათავეში, იმიტომ, რომ ძალიან კარგად ახსოვთ ამ საღად მოაზროვნე ადამიანებს როგორი იყო ეს რეჟიმი. შეიძლება დღეს საზოგადოების რაღაც ნაწილი კრიტიკულია ქართული ოცნების მიმართ (ყველა ყოველთვის ვერ იქნება ხელისუფლებით აღფრთოვანებული), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ნატრობენ ნაციონალებისა და სააკაშვილის დაბრუნებას ხელისუფლებაში, ეს გამორიცხულია. დიახ, მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ვიმეორებ, რაც არ უნდა უკმაყოფილო იყოს დღეს ვინმე ხელისუფლებით წარმოუდგენელია, რომ მას ჰქონდეს ის ოცნება, რომ აქ იხილოს სააკაშვილი. ნუ, გარდა ახალაიების ოჯახის წევრებისა, თუმცა შეიძლება მათაც აღარ უნდათ სააკაშვილი, რომ აქ ნახონ, შეიძლება ისინიც არ არიან ამის მოსურნე. ეს სურთ მხოლოდ იმ ძალიან მხარდამჭერებს, აქტივისტებს, მაგ.: თავისუფალ ზონას, კოორდინატორებს, პარტიის წევრებს, ანუ გუნდს, რომელიც მიდრეკილია ქაოსისკენ, ანარქიისკენ, აი, ასეთი გზებით ხელისუფლების ცვლილებისკენ. ვიმეორებ, პირდაპირი მოწოდება იყო ამის და ახლა, ამ ყველაფერს ფარავენ რაღაც პატრიოტული ლოზუნგებით, რაც დააანონსეს კიდეც აქციის თემად. რა თქმა უნდა, აფხაზეთი ჩვენი ტკივილია, ჩვენი ნაწილია, ჩვენი ტერიტორიაა, ჩვენ გვინდა ამ ტერიტორიის მშვიდობიანად დაბრუნება, პირველ რიგში აფხაზი და ოსი ხალხის, ასე ვთქვათ, ჩვენი თანამემამულეების შემორიგება, რაც უნდა მოხდეს, აუცილებლად, მშვიდობიანი გზით და არა აგრესიული რიტორიკით და რაღაც ომის მუქარით. და ისეთი ლოზუნგი შემოიტანეს, აფხაზეთის თემა, რომ, აი, თითქოს პატრიოტული სულისკვეთებით მართავენ რაღაც საპროტესტო დემონსტრაციას და საინტერესოა, რას აპროტესტებენ ან ვის მიმართ აქვთ ეს პროტესტი?!

— უკაცრავად და, ვინ მისცა საბაბი რუსეთს, რომ ელიარებინა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა, შემთხვევით სააკაშვილმა ხომ არა? ახლა გაახსენდათ აფხაზეთი?!

— ვინ აღიარებინა? სააკაშვილის უგუნურმა და აბსოლიტურად გაუაზრებელმა პოლიტიკამ, იმ, ასე ვთქვათ, პროვოკაციულმა ნაბიჯებმა, რომლებზეც მიდიოდა ის ხელისუფლება (მეორეს მხრივ წამოეგნენ რუსეთის პროვოკაციაზე). სააკაშვილმა პუტინის საქმე, ფაქტობრივად, ძალიან კარგად გააკეთა. აღიარებინა ეს ტერიტორიები, მოახდინა ოკუპაცია ხელმეორედ, 2008 წლის ომის შემდეგ კოდორიც მივაყოლეთ, ახალგორიც მივაყოლეთ და კიდევ არაერთი სოფელი და გაჩნდა ახალი ტალღა დევნილების. და ის ჩასახლებები, წეროვანი და სხვები ჩვენ სწორედ 2008 წლის შემდეგ მივიღეთ. დღეს გაახსენდათ აფხაზეთი? დაგვცინიან, დიახ, ეს დაცინვაა, უფრო სწორედ, ჩვენ კი არა, საზოგადოებას დასცინიან და ისევ რაღაც პატრიოტის როლში გამოდის სააკაშვილი, რომელსაც სძულს ეს საზოგადოება, მოაზროვნე და ნორმალური ხალხი. მას სურდა რობოტები ჰყოლოდა გარშემო და ჰყავდა კიდევაც დოქსოპულოს ტიპის ხალხი და დღეს, ის საუბრობს, ე.ი. რაღაც ისეთი პათოსით, თითქოს ეს დანაშაულებრივი კრიმინალური რეჟიმი მან არ შექმნა და ახლა უკვე განაჩენებია გამოსული და ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიმინალები მართავდნენ ამ პარტიასა და ქვეყანას. კრიმინალი მერაბიშვილი, კრიმინალი ადეიშვილი, კრიმინალი ახალაია, დიახ, უკვე განაჩენები არსებობს და ვფიქრობ, მათ ზუსტად ეს აწუხებთ, რომ ეს განაჩენები გამოვიდა მათ წინააღმდეგ. რეალურად ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივა აღარ აქვთ და ეს აწუხებთ და არა აფხაზეთი და ჩვენი ტერიტორიის ანექსია. ეს ხომ აბსოლიტურად მოგონილი ლოზუნგია, მათ ხომ არ აწუხებთ საქართველო, მათ ყოველთვის საკუთარი, ასე ვთვქათ, კარგად ყოფნა, საკუთარი კეთილდღეობა აწუხებდათ და ასე ქმნიდნენ ამ რეჟიმს სისხლზე, წამებაზე, ხალხის გაუპატიურებასა და ღირსების აყრაზე. თითქოს ეს ამ ქვეყანაში კი არა, არამედ სადღაც სხვაგან ხდებოდა.

— გვაქვს თუ არა სახეზე ყველა ნიშანი იმისა, რომ მზადდება სახელმწიფო გადატრიალება? აქვე შს მინისტრის მოადგილის, იზორიას განცხადებაც გავიხსენოთ...

— ფაქტია, ამ ძალას აწყობს ქვეყანაში არეულობა. ამ ძალას აწყობს უბედურების დატრიალება, რომ თვითონ ისარგებლოს შემდეგ, მაგრამ მეორე ამბავია, რომ პოლიცია და ძალოვანი უწყებები იმიტომ არსებობს, რომ არ დაუშვან არანაირი პროვოკაცია და სიტუაციის არევა ქვეყანაში. კანონმა უნდა იკანონოს და თუკი, ვინმე შეეცდება გადავიდეს კანონის ზღვარს, რა თქმა უნდა, ის მიიღებს შესაბამის პასუხს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა იყოს მობილიზებული პოლიცია, რომ ეს მშვიდობიანი აქცია არ გადაიზარდოს რაიმე პროვოკაციაში. მაგისთვისაც ჰყავთ ალბათ ხალხი, პროვოკატორები მომზადებული, ეგეც არის ერთ-ერთი მეთოდი. ბუნებრივია, ხელისუფლებაზეა სრული პასუხისმგებლობა, რომ იყოს წესრიგი. ახლა გამოხატვის თავისუფლება ქვეყანაში დაცულია, მშვიდობიანი დემონსტრაცია და მშვიდობიანი მანიფესტაცია, რა თქმა უნდა, კონსტიტუციითა და კანონით არის დაცული და ჩვენ ვერავის ავუკრძალავთ ამას, მაგრამ როგორც კი ზღვარს გადავა ვინმე, ვინც არ უნდა იყოს ის, ბუნებრივია, კანონი იკანონებს და თავის სიმაღლეზე იქნება პოლიციაც და სამართალდამცავი უწყებაც. ასე რომ, ნუ, აქვთ იმის იმედი, რომ რაღაცას არევენ აქ და ბრალდებული და პასუხისგებაში მიცემული სააკაშვილი ახლა ნუ მოძღვრავს იქიდან მთელ ერს, ცოტა სასაცილოა რა! ის არასდროს ყოფილა ერისკაცი და არასდროს ყოფი-

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლა ამ ქვეყნის ლიდერი, ის იყო ერთი ავანტურისტი, რომელმაც, სამწუხაროდ, მთელი საერთაშორისო საზოგადოება თავის დროზე შეცდომაში შეიყვანა, დემოკრატიის შუქურად მოაჩვენა თავი, მაგრამ ეს ასე არ იყო და არ არის. ეს ადამიანი იყო ერთ-ერთი ლიდერი დანაშაულებრივი რეჟიმისა, იმ დაჯგუფების, რომელიც ადამიანების გატაცებაზე, მოკვლაზე, წამებასა და დაშინებაზე იდგა და ეს უკვე განაჩენებით არის დადასტურებული.

— ქალბატონო მანანა, ვინ უმაგრებს სააკაშვილს ზურგს? საუბარია იმაზე, ლოგიკაც მიგვანიშნებს, რომ რუსეთის რეაქციულ ძალას სურს დესტაბილიზაცია საქართველოში?!

— იცით, მე რასაც ვუყურებ რუსეთისთვის ყველაზე მომგებიანი სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი იყო. რა თქმა უნდა, აფხაზეთის დაკარგვა ჩვენ ბევრად ადრე დავიწყეთ, ბევრად ადრე დაიწყო ეს პროცესი, მაგრამ ყველაზე კომფორტულ სიტუაციაში რუსეთი სწორედ სააკაშვილის დროს აღმოჩნდა. მან მიიღო ორი აღიარებული სახელმწიფო, თავისი სატელიტი და დასაყრდენი შავ ზღვაზე. და ეს მოახერხეს პუტინმა და მედვედევმა სწორედ სააკაშვილის მმართველობის დროს. და ის ყველაზე მეტს გაჰყვირის იმაზე, რომ თითქოს ბიძინა ივანიშვილია რუსი ოლიგარქი და რუსეთის საქმეს აკეთებს, მაგრამ ამას ხომ ნორმალური ჭკუათმყოფელი ადამიანი არ დაიჯერებს, მაგრამ მეორე არის ის, რომ ზუსტად რუსეთს აწყობს სააკაშვილი აქ, საქართველოში, აი, ასეთი ტიპის მმართველი რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელია ბუნებრივია.

— დასავლური ნიღაბით რუსული ინტერესები ხორციელდებოდა?...

— ფაქტია, შედეგად ეს მივიღეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, სააკაშვილი ყველაზე ხმამაღლა ყვირის, რომ ის არის პროდასავლური, პრომერიკული და პროევროპული ლიდერი , მაგრამ პრორუსულ საქმეს აკეთებდა, დიახ, რეალურად ეს მივიღეთ. რა თქმა უნდა, ამ განცხადების გამო ახლა თავს დამესხმებიან სრულიად ნაცმოძრაობის, ასე ვთქვათ, ლიდერები, მაგრამ ეს ასეა, და, როცა დღეს ის ამბობს, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილი გაუნათლებელია, უვიცია, პროვინციელია და რუსი ოლიგარქია, ეს ხომ არის პირდაპირ ბინძური პოზიცია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ადამაინს, რომელიც ვერა და ვერ ინელებს იმას, რომ ის აღარ არის ხელისუფლებაში.

— და მაინც, პრევენციულ ზომებს თუ ატარებს ხელისუფლება, ხომ იცით, ნათქვამია, ურემი, რომ გადაბრუნდება მერე გვიან იქნებაო... ჩვენ გვახსოვს, როგორ დაიწყო 90 -იან წლებში არეულობა, პუტჩი ხალხს არ უნდოდა, არ უჭერდა მხარს, თუმცა ერთმა გასროლამ დაძრა პროცესები...

— ღმერთმა ნუ ქნას! საზოგადოება უკვე საკმარისად მომწიფებულია საიმისოდ, რომ ასეთი რამ, პირველ რიგში, მათ არ დაუშვან. და, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა არის ხელისუფლებაზე, ძალოვან უწყებებზე და პოლიციაზე და დღეს სულ სხვა პოლიცია და სულ სხვა სახელმწიფოა დღეს, ვიდრე ეს იყო 90-იან წლებში. ჰოდა, ეს არ მოხდება. ეს დაუშვებელია, იმიტომ, რომ ჩვენ რეჟიმის დაბრუნებას არ დავუშვებთ, გამორიცხულია ეს ამბავი და, პირველ რიგში, ზუსტად საზოგადოების მხარდაჭერა აქვს ხელისუფლებას, რომ აქ დესტაბილიზაციის საფუძველი არ შეიქმნას და თანაც ამის სათავეში არ იყოს ნაციონალური მოძრაობა. ახლა, ამას საზოგადოება და ხელისუფლება ორივე ერთად არ დაუშვებს. ვიმეორებ, აქამდე პროცესებს არ მივაყვანინებთ, გამორიცხულია, იმიტომ, რომ ჩვენ პასუხიმგებლობა გვაქვს აღებული ხალხისა და ქვეყნის წინაშე და, რა თქმა უნდა, ამას არ დავუშვებთ, თუმცა ძალიან დიდი სურვილი მათ ამისი აქვთ. ეს ყველაზე მეტად უნდა ნაციონალურ მოძრაობას, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ ეღირსებიან.

— დაბოლოს, არ დაინტერესდით, რომელ მეზობელ ქვეყანაში და ვის ხვდებოდა სააკაშვილი? ეს, ალბათ, საზოგადოებისთვის ნათელი უნდა გახდეს...

— ახლა მე დეტალებს ვერ გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შესაბამის უწყებებს აქვთ ინფორმაცია. თუ რაიმე ქმედება რომელიმე ჩვენი თანამოქალაქის, თუ არა მოქალაქის ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული, ვინც არ უნდა იყოს ის, ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი მინისტრი, ჩვეულებრივი მოქალაქე თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით. ვიმეორებ, თუ ვინმეს აქვს რაღაც ბოროტი ზრახვა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგ, ბუნებრივია, ეს ყველაფერი უნდა იყოს შესწავლილი, გაშიფრული, კონტროლზე აყვანილი და რეაგირებული, იმიტომ, რომ ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ რაიმე შეთქმულებას, ვინმეს მხრიდან, ვინც არ უნდა იყოს ის.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

მიხეილ სააკაშვილი – დასავლურ ჭინჭებში შეფუთული რუსული ბომბი

3 gv.

დაუკომენტარა ვიღაცამ ფეისბუქში და იქვე მიაყოლა:

— აჭარა „დაიბრუნა“ და კინაღამ მოძმე თურქებს უფეშქაშა.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში დამარცხება რომ არა, მიხეილ ბრძენის ხელში, დარწმუნებული ვართ, აჭარასაც იგივე დაემართებოდა, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაემართა.

დაბოლოს, ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ქვეყნის არევ-დარევის ის გეგმა, რომლის განხორციელებასაც მიხეილი 15 ნოემბრის შემდეგ ეტაპობრივად აპირებს?

ევროკავშირის? — არა!

ამერიკის? — გამორიცხულია!

მაშინ რატომ უჭერს მხარს ზოგიერთი დასავლური წარმოშობის პოლიტიკოსი, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია თუ სახელმწიფო ინსტიტუტი რეგიონში დესტაბილიზაციის მოსურნე მიხეილს?

აი, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ, ალბათ, რუსეთის უჩინარი ხელი, რომელსაც, თუ დასჭირდება, დასავლეთის მოსყიდვაც შესანიშნავად გამოსდის და თავის აგენტურას ისე ლამაზად შეაფუთინებენ ხოლმე დასავლელ „მოკავშირეებს“, გეგონება, რუსეთის აგენტი კი არა დასავლური ღირებულებების ერთგული და თავდადებული მებაირახტრეაო.

მიხეილ სააკაშვილი დასავლურ ჭინჭებში შეხვეულ-შეფუთული რუსული ბომბია, რომელიც კვალის არევის მიზნით, საკუთარიდან კი არა სხვისი ეზოდან შემოგვიგდო რუსეთმა.

არ გჯერათ?

ღმერთმა ნუ ქნას და თუ აფეთქდა, მაშინ დარწმუნდებით...

* * *

— ადამიანი ერქვას და ასეთი უტიფარი, ასეთი უნამუსო, ასეთი თავხედი, ასეთი შუბლისძარღვგაწყვეტილი იყოს, იშვიათია, — წერენ მოქალაქეები სოციალურ ქსელში.

იგივეს ამბობენ სხვა მოქალაქეებიც ქუჩაში, სახლში, საქალაქო ტრანსპორტში, სხვაგან და სხვაგან.

მიხეილ სააკაშვილი მართლაც უიშვიათესი პოლიტიკური ცხოველია უტიფრობით და თავხედობით გამორჩეულ პოლიტიკურ ცხოველთა შორის.

მისი მსგავსი ეგზემპლარი მსოფლიოს პოლიტიკურ ზოოპარკში სადღეისოდ არ მოიძებნება.

სააკაშვილი განგებამ საქართველოს მოუვლინა, როგორც განსაცდელი, როგორც სასჯელი, როგორც გამოცდა...

მიხეილ სააკაშვილი ინტერვიუში „ქართული ოცნების“ მისამართით ხშირად ახსენებდა სიტყვა თვითლიკვიდაციას.

დარწმუნებული ვართ, 15 ნოემბრის აქციით სწორედ სააკაშვილი იწყებს პოლიტიკური თვითლიკვიდაციისკენ „ტრიუმფალურ“ სვლას.

ცოდვა მიაქანებს მას თვითლიკვიდაციისკენ და ეს ფინალი ისევე გარდაუვალია, როგორც ის, რომ ღამის შემდეგ დილა უნდა გათენდეს.

მიმომხილველი

თემურ მირიანაშვილი:

მსოფლიოს პოლიტიკური წრეებისთვის სააკაშვილი იმდენად საშიში კაცია, ან მოკლავენ, ან გააგიჟებენ! თუმცა, გიჟი ხომ ისედაცაა...

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ვესაუბრებით ბატონ თემურ მირიანაშვილს.

— ბატონო თემურ, უკვე ორი წელია ქვეყანას ახალი ხელისუფლება მართავს, საზოგადოების აზრი „ოცნების“ მმართველობის მიმართ — არაერთგვაროვანია. როგორ შეაფასებდით თქვენ განვლილ პერიოდს, რა შეიცვალა?

— მინდა გითხრათ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, ცხოვრება შეიცვალა, სიტყვის თქმა გახდა შესაძლებელი, ადამიანი რომ ტელევიზორს რთავს იმ **ყეყეჩსა და მახინჯ ყოფილ პრეზიდენტს** აღარ ხედავს, თუმცა, ბოლო დღეებში კვლავ გამოჩნდა. ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები არიან, რომ ცხადია, ყველა ყველას მოსაწონი არ იქნება, მაგრამ ეს საქმე მოგვარებადია. პრაქტიკულად არ შემხვედრია მე კაცი, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი არ მოსწონდეს. უაღრესად მოზომილი პოლიტიკოსი გამოდგა. დღევანდელ ხელისუფლებას ერთი სერიოზული ნაკლიც აქვს. ეს გახლავთ ის, რომ „ნაცმოძრაობა“ მთლიანად ამოძირკვული არ არის. თუმცა, ამას აქვს თავისი მიზეზები, კერძოდ კი ის, რომ მათი დამხობა იმდენად წარმოუდგენელი რამ იყო, რომ დღემდე ბოლომდე ვერ მოხდა ამ „ბანდის“ ხელისუფლებისგან ჩამოშორება. მჯერა, რომ უახლოეს ორ წელიწადში ეს მოხერხდება და „ნაციონალებიც“ და „რესპუბლიკელებიც“ გაძევებულ იქნებიან ქართული პოლიტიკიდან, ამას დრო სჭირდება.

— იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს ნაციონალები მოსალოდნელ რევანშზე ღიად საუბრობენ, თავად სააკაშვილი ხვდება პარტიის ლიდერებს, ალბათ, დავალებებსაც აძლევს, მოკლედ, არ ჩერდებიან...

— ნებისმიერი ტიპის რევანში ნაციონალების მხრიდან გამორიცხულია, წარმოუდგენელია, რომ ქართველი ხალხი კვლავ მათ გაჰყვეს, დღეს მათ ამოძრავებთ ის, რომ წყალწაღებულები ხავსს ეჭიდებიან, მეტი რა გზა აქვთ, დიდი დაფინანსების წყაროები აქვთ და ფული ხომ უნდა იშოვნონ?

— საიდან არის ეს წყაროები?

— იქიდან ვინც ეგენი სათავეში მოიყვანა, **დასავლეთი და ამერიკა.**

დასავლეთი დღემდე არ აძლევს დღევანდელ ხელისუფლებას იმის საშუალებას, რომ მოხდეს სააკაშვილის დამნაშავე მმართველობის პოლიტიკური შეფასება, ეს მათი გავლენაა, ხალხი კი ვეღარ ითმენს.

— ეს პროცესი ხომ არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, მოლოდინის რეჟიმში ვიცხოვროთ?

— არა, ეს პროცესი დაუსრულებელი არ გახლავთ, დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ დასავლეთი სულს დაფავს, ეკონომიკური კრიზისი, რომელიც უკვე მერვე წელიწადს გრძელდება, მათ დიდად დააზარალებს. მსოფლიოს არც ერთი კრიზისი ამდენ ხანს არ გაგრძელებულა. შეგახსენებთ, დიდი ეკონომიკური დეპრესია, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში იყო, გაგრძელდა სამნახევარი წელიწადი მხოლოდ, რვა წელი არც ერთი კრიზისი არ გაგრძელებულა. აქვე დავძენ, რომ, **რომ არა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ნაციონალები არ დაემხობოდნენ,** ამერიკა და დასავლეთი რომ ყოფილიყო ისეთი ძლიერი, როგორც ეს ეკონომიკურ კრიზისამდე, გამორიცხული იყო მიშას დამხობა. დღეს უკვე დასუსტდა დასავლეთი და ვერც სააკაშვილს დაეხმარა ის და ვერც რუსეთს დაუპირისპირდა, იმიტომაც მივიღეთ ასეთი შედეგები.

— ბატონო თემურ, ეკონომიკური კრიზისი დღევანდელი პერიოდისთვის არა თუ გაჩერდა, უფრო მძიმე ფაზაში გადავიდა, გრძელდება და გრძელდება, რა შედეგამდე შეიძლება მივიდეს ყოველივე?

— პირადად ჩემი აზრია ის, რომ კაპიტალიზმი დასავლეთში უკვე აღარ არსებობს, ვინაიდან მისი მთავარი პრინციპი არის ის, **რომ ქვეყნის ეკონომიკას უნდა წარმართავდეს საბაზრო ეკონომიკა, ბაზარი და სახელმწიფო მის ფუნქციონირებაში არ უნდა ერეოდეს. დამისახელეთ მსოფლიოში ისეთი სახელმწიფო, რომელიც უხეშად არ ერევა ეკონომიკაში, ასეთი არ არსებობს!** ამერიკამ ტრილიონები ჩაყარა ეკონომიკაში, ბანკები გადაარჩინა, „ჯენერალ მოტორსი“ გადაარჩინა, ეს არის საბაზრო ეკონომიკა? ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმი უკვე აღარ მუშაობს, ვეღარ ფუნქციონირებს, სახელმწიფო თვითონ გახდა პრობლემა ეკონომიკისთვის. როცა სახელმწიფო კერძო ბანკებისა თუ კომპანიების ეკონომიკაში თუნდაც მის გადასარჩენად ერევა, ეს სოციალიზმია უკვე.



მსოფლიოში დღეს არ არსებობს ქვეყანა, რომლის ეკონომიკაც ბაზრის უხილავი ხელით იმართება — ისე, როგორც იყო დასავლეთსა თუ ამერიკაში კაპიტალიზმის პერიოდში.

ფაქტობრივად, უკრაინის პროცესებიც დასავლეთიდან წარმართა იმიტომ, რომ შემდეგ რუსეთზე გადავიდნენ, გაძარცვონ და ციმბირი წაართვან მას.

ფაქტობრივად, თუ დასავლეთი რუსეთს ციმბირს წაართმევს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დამთავრდება, იმხელა რესურსს მიიღებენ აქედან. იქ უზარმაზარი სიმდიდრეა დაფარული. ამ ქონებით დასავლეთი კიდევ ერთი საუკუნე იარსებებს. პუტინმაც ძალიან კარგად იცის ეს და იმიტომაც უწევს მათ მედგარ წინააღმდეგობას, დედამიწის ზურგზე არ არის ამდენი სიმდიდრე, რამდენიც ციმბირშია.

— რამდენად რეალურია დასავლეთის ბრძოლა რუსეთისთვის?

— აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ მათ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში რუსეთი დაამარცხონ, თუმცა ეგონათ, რომ რუსეთი შეიჭრებოდა უკრაინაში, ამაზე ატეხავდნენ ამბავს. ეს ასე არ მოხდა. **დასავლეთმა ვერ ჩაძირა ამ ეტაპზე რუსეთი იმ ჭაობში, რომელშიც თავად არიან. პრაქტიკულად, პუტინმა 40-მილიონიანი უკრაინა დღევანდელი მძიმე პირობებით „წამოჰკიდა“ დასავლეთს, ისინი იძულებულნი არიან „აჭამონ“, დაეხმარონ, როცა თავადაც უჭირთ, რაღა უნდა ქნან?** აქვე დავამატებდი, ჯერ კიდევ ზამთარი არ დაწყებულა უკრაინაში, ყინვები არ არის, მერე ნახონ, რა მძიმე დღეში აღმოჩნდებიან. პოროშენკო იქნება სათავეში თუ სხვა ვინმე, ამას აღარა აქვს მნიშვნელობა, მათ ვერავინ ვერ დაეხმარება, რუსეთი კი მოიძულეს.

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე რას იტყვით, რამდენად რეალურად იდგმება ნაბიჯები ქვეყნის პოლიტიკოსების მიერ ამ მიმართულებით?

— მსოფლიოში დღეს პროცესები ისე ვითარდება, რომ ვფიქრობ, დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს საქართველოს გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატე ნაციონალები ძალიან უშლიან ამას ხელს. თანმიმდევრულ პოლიტიკას არ შეიძლება რომ არ მოჰყვეს აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნება. თუმცა, არა ერთბაშად, ეს პროცესია. სხვათა შორის, 1988-89 წლებში მე პირველი ვამბობდი, რომ აფხაზეთსა და ოსეთში საქმე აირევა-მეთქი, **დღეს გეუბნებით, აფხაზეთსა და ოსეთს დავიბრუნებთ აუცილებლად.**

— ბოლო დღეებია სააკაშვილი ძალიან გააქტიურდა, რა მიზეზი აქვს ან ვის რაში სჭირდება ის, როგორც ყოფილი პოლიტიკოსი ან პიროვნება?

— დღეს ის უკვე არავის სჭირდება, საკუთარი იდეებით და აზრით მოქმედებს, პირიქით, **შეიძლება ის ამერიკამ „გაასაღოს“ კიდეც იმდენად საშიშია ის, როგორც პიროვნება, ეგ არის დღეს ასაფეთქებელ მოწყობილობაზე მიერთებული საათი, რომელიც წიკწიკებს, როდის ააფეთქებენ, არ იცის, რუსებმა რომ დაიჭიროინ, ეგ მოაღებს პირს და ამერიკის დანაშაულებრივ ქმედებებზე იტყვის ყველაფერს, ამიტომ ძალიან საშიში კაცია. თუ არ მოკლავენ, შეურაცხადს მაინც გახდიან, ისედაც გიჟია!**

თუმცა, ყოფილი პრეზიდენტი არ ისვენებს და კვლავ სტიქიაშია, თითქოს რაღაცას აკეთებს. რა ქნას, არ იცის, რა უნდა, ფაქტობრივად, ის რისკავს სიცოცხლეს.

ემილ კასრელიშვილი
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რატომ უჭერენ მხარს აშშ-ის სენატორები ქართველ ტირანს?

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საჯარო გახადა „ვალერი გელაშვილის საქმეზე“ უცხოელი მრჩევლების წინასწარი დასკვნა, რომელიც საქართველოს პროკურატურის მასალების საფუძველზე მომზადდა. მათ მითითებული აქვთ, გამოძიების პროცესში, შესაძლოა, დასკვნა გადაისინჯოს კიდეც, თუ ჯგუფს დამატებითი მტკიცებულებები წარედგინება.

დასკვნის გამოცხადებისთანავე პარლამენტარმა ჩიორა თაქთაქიშვილიმა საკუთარ კომენტარში გამოხატა აზრი, რომ უცხოელი მრჩევლები ბიძინა ივანიშვილის დაქირავებულები არიან, ამიტომ მათი წინასწარი დასკვნა მიუღებელია. ცხადია, ჩიორამ მხოლოდ საკუთარი აზრი არ გამოხატა, მაგრამ რა თქვა, დაფიქრდა, კი? ფაქტობრივად, მან ღიად დასდო ბრალი სერ ჟოფრეი ნაისს, მოშე ლადორსა და პოლ კოფეის რომ ფინანსური დაინტერესების გამო ისინი გარიგებაში არიან ბიძინა ივანიშვილთან და მხოლოდ ამიტომ ჩათვალეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება კონკრეტული პირების მიმართ აბსოლუტურად მართებულია.

რატომ ჰგონია და უნდა რომ ასე იყოს, ჩიორას, გასაგებია, მაგრამ სანამ რამეს „დაიჭიკჭიკებდა“, იქნებ, გაეაზრებინა, რომ საკაშვილის (იგივე ჩიორას „ნაცმოძრაობის“) ნამუსგაღლეტილი „ჯიბის პროკურორების“ მიერ მომზადებულ დასკვნაზე არ არის საუბარი...

სერ ჟოფრეი ნაისი (დედოფლის ადვოკატი) წარმოადგენს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ყოფილ მოადგილეს (1998-2006წწ) და ხელმძღვანელობდა სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოებას;

მოშე ლადორი წარმოადგენდა ისრაელის სახელმწიფო პროკურორს 2013 წლის ბოლომდე და ზედამხედველობდა ისრაელის ყოფილი პრემიერმინისტრის ეჰუდ ოლმერტისა და რამდენიმე სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების ბრალდებას;

პოლ კოფეი წარმოადგენს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის განყოფილების ყოფილ უფროს, რომელიც საჯარო სამსახურის შემდეგ დაინიშნა მართლმსაჯულების სისტემის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიაში კოსოვოში.

პოლ კოფეი

განა რა თქვეს მათ ისეთი, რაც საქართველოში არავინ იცოდა?

„ჩვენ გვჯერა, რომ არსებული მასალები არის სამართლებრივად და ფაქტობრივად საკმარისი იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა დანაშაულებისთვის რომლებიც დაკავშირებულია ვალერი გელაშვილის მიმართ 2005 წლის 14 ივლისს განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან“ და ა.შ „გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გამოძიება ჩატარდა კეთილსინდისიერად და პროფესიონალურ დონეზე. კიდევ ერთხელ მადლობა თანამშრომლობისთვის და ვიმედოვნებთ, მომავალში კვლავაც განვაგრძობთ თქვენთან მუშაობას“.

არაფერია ახალი, მაგრამ „ნაციონალებისა“ და მათი უცხოელი გულშემატკივრებისთვის ინგრევა მათ მიერვე შექმნილი მითი, რომ საქართველოში ყოფილი ხელისუფლების მაღალი რანგის პირების მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა.

აშშ-ის დეპარტამენტი სააკაშვილის ხელისუფლების დროს რატომ არასდროს შეწუხებულა მსგავსი საკითხებით, კითხვის შემბუნებელი ვინ არის „ვითომ ჟურნალისტებიდან“, ან საქართველოს ხელისუფლებიდან, მაშინ ხომ საქართველო კი არა, უნგრეთი ვიქნებოთ... დიახ, როგორც-კი ვაშინგტონიდან ბუდაპეშტში მოუწოდეს, რომ შეცვალონ პოლიტიკა და პატივი სცენ იმ დემოკრატიულ ღირებულებებს, რაც აშშ-ისთვისაა დემოკრატიული ღირებულება (აშშ-მა უნგრეთის ხუთ მოქალაქეს აუკრძალა შტატებში ჩასვლა, ყოფილ და ამჟამინდელ მაღალჩინოსნებს, რომლებიც კორუფციულ გარიგებაში არიან ბრალდებულები), უნგრელმა კანონმდებლებმა აშშ-ის ამ მოწოდებას „სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა“ უწოდეს და განაცხადეს, რომ ამ მიზეზით, შესაძლოა, ვაშინგტონსა და უნგრეთს შორის ურთიერთობა დაიძაბოს, საქართველო კი...

ზოგი პოლიტიკოსი თვლის, რომ ფსაკმა საქართველოს ხელისუფლება შეაჯანჯღარა, ზოგი – ჩვეულებრივ განცხადებად აღიქვამს ნათქვამს, საჭიროა კანონის უზენაესობა, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, უდანაშაულოები კი არ უნდა დაიჭირონო; ასეთი განცხადებები კეთდება ხშირად და ეს მიუთითებს იმაზე, რომ აშშ საქართველოში მიმდინარე პროცესებს აკვირდებაო... რაც მართალია – მართალია, დიდი ხანია ძალიან უცნაურად გვაკვირდებიან...

საინტერესოა, აშშ რატომ არ „აკვირდება“ თავისივე ქვეყნის (ან სხვა ქვეყნის) იმ მოქალაქეებს, რომლებიც, პირიქით, სწორედ ამერიკელ სენატორებს „აკვირდებიან“ და კითხვა აწვალებთ, რატომ უჭერენ მხარს ამერიკელი სენატორები ქართველ ტირანსო? რამდენმა მათგანმა (სიკორსკი, ჰანს გუნარ ადენი, რომან ფინი და ა.შ) თქვა რამდენი რამ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ პრანკერ „ვოვანისა“ და ლუის რობერტსონის ნაუბარი გავიხსენოთ.

„ვოვანი“: – მე საუბარი ასე დავიწყე: იცი, მიშა, შენ მანდ ვაშინგტონში ზიხარ და ვიცი, ფართო კავშირები გაქვს. კარგი იქნებოდა რომ უკრაინასთან მიმართებაში დაგვხმარებოდი, რაღაც ორგანიზება გაგეკეთებინა ან ფინანსების, ან იარაღის სფეროში... ამაზე მან მიპასუხა: – ოკ, რაზეა ლაპარაკი... მე მართლაც მშვენიერი კავშირები მაქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან. შემიძლია დაგალაპარაკო სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, რამდენიმე გავლენიან პიროვნებასაც გაგაცნობ... ვინც გინდა, რა, მოკლედ... ორი დღის შემდეგ სააკაშვილი პანიკაში ჩავარდნილი მირეკავს, გთხოვ, ჩემ ძმას სასწრაფოდ დაეხმარო, კიევის აეროპორტში დაუკავებიათ, უკრაინაში ყოფნის 90-დღიანი ვადა დაუმთავრდა და შესაძლოა საქართველოში დეპორტი მოახდინონო. ამ საკითხში მართლა დავეხმარეთ მე და ჩემი მეგობარი ალექსი, მისი ძმა გავათავისუფლებინეთ – სხვაგვარად არსენ ავაქოვი როგორ ვიქნებოდი, ჩემი სტატუსის დადასტურება მჭირდებოდა. ამის შემდეგ მიშამ SMS მომწერა: დიდი მადლობა. ვიწყებ მუშაობას თქვენი საკითხის მოსაგვარებლად“. მიშამ დაგვაკავშირა ბარაკ ობამას თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში ევროპული ურთიერთობების დირექტორთან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში – მისი გვარია კუპჩინი. ჩვენ თხოვნაზე კუპჩინმა თქვა: კარგით, ჩვენ დაგეხმარებით ან ფინანსურად ან იარაღით. ჩვენ ელჩს კიევში გადაეცით სია, რაც თქვენ გჭირდებათ, მერე დავსხდებით და განვიხილავთ“. მიშასთან კიდევ რამდენჯერმე ვისაუბრე და როგორც მივხვდი, მისი შესაძლებლობები არცთუ ისე ფართო ყოფილა, ვფიქრობ, ვაშინგტონისთვის მაინც „შესტიორკას“ როლს ასრულებს... მე დავრწმუნდი, რომ იგი საერთაშორისო აფერისტია, მისთვის მთავარია ცუდი გაუკეთოს რუსეთს... ბოლო საუბრის დროს მთხოვა ხელი მომეწერა მის მიერ ინტერპოლის სახელზე დაწერილი თხოვნისადმი, რომ იგი საერთაშორისო ძებნაში არ გამოეცხადებინათ. როცა ცნობილი გახდა რომ ეს ყველაფერი გათამაშება იყო, სააკაშვილის თანაშემწე ქალმა დამირეკა, მითხრა, რომ არსენ ავაქოვი საქმის კურსშია და დამემუქრა რომ ყველა ამ საუბარს ფბღ-ში გაგზავნიან. თუ კიდევ ერთხელ დარეკავთ, საქმე ჩვენს (ამერიკულ) სპეცსამსახურებთან გექნებათო...“ („მოსკოვსკი კომსოლოლეცი“)

მოშე ლადორი

ლუის რობერტსონი: – „სააკაშვილის მიცემას სამართალში შვიდი წელი დასჭირდა - მისი თვალთმაქცობისა და სიცრუის შვიდი წელი, შვიდი წელი, რომელთა განმავლობაშიც სენატორები ორივე პარტიიდან და ტაფტის უნივერსიტეტის დეკანი ჯეიმს სტავრიდისი ეფოფინებოდნენ სააკაშვილს. მაგრამ იმედია, რომ, ლას-ვეგასის მსგავსად, შვიდიანი ბედნიერი რიცხვი აღმოჩნდება. რა უფლებით ვწერ ამ შვიდი წლის შესახებ? მე ჩემს თავზე გამოვცადე ეს შვიდი წელი.

მართალია, „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულია სააკაშვილის, როგორც რეპუტაციაშელახული ლიდერის, არცთუ ისე სახარბიელო დახასიათება და გამოთქმულია აზრი, რომ აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებს იმთავითვე არ უნდა ჩაეკრათ ის გულში, ასევე ნახსენებია მის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებები, სტატიაში არაფერია ნათქვამი ბრალდების შესახებ, რომელიც ეხება ტელეკომპანია „იმედის“ დარბევას. 2006-2009 წლებში სწორედ მე გახლდით ამ დამოუკიდებელი ტელევიზიის აღმასრულებელი დირექტორი.

ჩემს კოლეგებთან ერთად მეც ტელევიზიის შენობაში ვიყავი 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ის გააერანეს სააკაშვილის ზონდერებმა, რომლებიც პარალელურად ახორციელებდნენ მისი ხელისუფლების გასაპროტესტებლად გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას თბილისის ცენტრში. სახეზე ნიღბები ეკეთათ, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მათი ამოცნობა, ხელში კი ÀÊ-47 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ეკავათ, რომელიც ჩვენი რვათვენახევრის ორსული თანამშრომლის მუცელზე ჰქონდათ მიშვერილი. ის კი ჩანასახის პოზაში მოკუნტულიყო და ასე ცდილობდა ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილის დაცვას.

მე ვხედავდი, როგორ უმიზნებდნენ თავში ძირს მოკრუნჩხულ ახალგაზრდა თანამშრომელს, რომელსაც ხელები სახეზე აეფარა იმ იმედით, რომ თავში არ ესროდნენ. მობილური ტელეფონები ჩამოგვართვეს და დააზიანეს თანამშრომელთა კომპიუტერები. მაშ, როგორ და რატომ ხდება ასეთი რამ? ვინ გასცემს კერძო ტელევიზიის დარბევისა და მისი თანამშრომლების მძევლად აყვანის ბრძანებას?

ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც ხუთ მილიონზე ნაკლებია, მხოლოდ ერთ ადამიანს - პრეზიდენტ სააკაშვილს ჰქონდა ძალაუფლება, გაეცა ასეთი დარბევის ბრძანება.

ყველასთვის ნათელი იყო, ვინ გასცა ბრძანება. თავდასხმიდან ორ დღეში ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ მმართველები რუსეთის ჯაშუშები იყვნენ, რაც წარმოადგენს ჩვეულ ხერხს, რომელსაც სააკაშვილი დღესაც იყენებს თავისი კონკურენტის წინააღმდეგ. როცა ამ ტყუილის ანკესზე არავინ წამოეგო, დარბევის მიზეზად გამოცხადდა ის, რომ ტელევიზია არ ამბობდა სიმართლეს ხელისუფლების შესახებ. ესეც სიცრუე იყო. სინამდვილეში სწორედ სიმართლის თქმა იყო პირველმიზეზი ხელისუფლებასთან ჩვენი პრობლემებისა.

ჩვენი ტელევიზია 30 დღის განმავლობაში არ გასულა ეთერში. დარბევის შედეგად ტექნიკისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა მილიონ დოლარს აღემატებოდა. ტელევიზიამ მილიონობით დოლარის შემოსავალი დაკარგა. მიუხედავად ამისა, შვიდი წლის განმავლობაში ამ დანაშაულზე პასუხი არავის მოეკითხა.

ახალ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ხოლო ყოფილი პრეზიდენტი გაქცეულია და ემალება ქართულ პოლიციას. ეს კი მაძლევს იმედს, რომ ის, რაც დატრიალდა ნოემბრის იმ დღეს, სათანადოდ შეფასდება სასამართლოში და სამართალი უზრუნველყოფილი იქნება ყველასთვის, ვინც გადავიტანეთ ის საშინელი დღე და ღამე.

სააკაშვილი მოვიდა ძალაუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ დროს, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ ვარდს ფოთლები საბოლოოდ შემოახმა. სენატორები მაკ-კეინი, შაჰინი, რუბიო და რიში, ალბათ, დააბრმავა სააკაშვილის უკომპრომისო რიტორიკამ პუტინის წინააღმდეგ. მათ გამოეპარათ ის ფაქტი, რომ სააკაშვილი ადამიანის უფლებათა სერიული დამრღვევი იყო, რომელიც ზედამხედველობდა ცხეში სისტემატურ წამებას და მიწასთან ასწორებდა თავისუფალ პრესას.

იმედია, რომ დღეს, როცა სააკაშვილი სამართალში მისცეს, ეს სენატორები ხელახლა განიხილავენ თავიანთ პოზიციას მასზე. ჩვენმა ლიდერებმა უნდა გაავრცელონ მკაფიო გზავნილი, რომ ჩვენთვის მიუღებელია ასეთი ტირანული ქცევა, თუნდაც ეგრეთ წოდებული მოკავშირეებისაგან.

არცთუ ძნელია პასუხის გაცემა კითხვაზე: რატომ უჭერენ მხარს ამერიკელი სენატორები (ცალკეული) ქართველ ტირანს, მაგრამ აზრი?

სანამ არ შევიგნებთ, რომ ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის, ვივლით ასე უთავოდ...

დავით ქანთარია

მიშა „ლეჟანკით“

საქართველოსგან ბევრი არაფერი დარჩა, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ არის იმდენი, რომ მისთვის ბრძოლა კვლავაც გრძელდება.

არაერთხელ მითქვამს, ძვირფასო მკითხველო, ის, რაც თქვენც მშვენივრად იცოდით, არაერთხელ ჩამომითვლია „ნაცმოძრაობის“ მიერ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი კრიმინალური ქმედებები, მაგრამ, თავს უფლებას მივცემ და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რატომ უნდა მიგვაჩნდეს საქართველოს, ქართველების და საერთოდ, ქართველობის მტრად „ნაცმოძრაობა“ და მისი არაადეკვატური, არაპროგნოზირებადი და ამორალური ექსპრეზიდენტი.

როდესაც რუსეთის სახელმწიფოს ჩამოშლაზე და რუსეთის მტრულ გეგმებზე გველაპარაკება სააკაშვილი, შევახსენებთ, რომ მშვენივრად გვახსოვს, რუსულ კომპანიებზე რომ გაასხვისა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები. მისთვის ჩვეული ყალბი დემაგოგიით იგი ვითომ ებრძოდა რუსეთს, მაგრამ „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“. ჯერ ნახეთ მისი მმართველობის პერიოდში რუსებზე გასხვისებული კომპანიების ჩამონათვალი:

ენგურჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“.

ჟინვალჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“.

რიონჰესი — რუსული კომპანია „ენერჯ ინვესტი“.

„გუმბათი-1“, „გუმბათი-2“ — რუსული კომპანია „ენერგო-პრო“.

ლაჯანურჰესი — რუსული კომპანია „ენერგო-პრო“.

შაორჰესი — რუსული კომპანია „ენერგო-პრო“.

აჭარის წყალი — რუსული კომპანია „ენერგო-პრო“.

„ვარციხე-1“ — რუსული კომპანია „ინტერ-რაო“.

„ვარციხე-2“ — რუსული კომპანია „ინტერ-რაო“.

„ვარციხე-3“ — რუსული კომპანია „ინტერ-რაო“.

„ვარციხე-4“ — რუსული კომპანია „ინტერ-რაო“.

„ხრამი-1“ — რუსული კომპანია „რაოესი“.

„ხრამი-2“ —რუსული კომპანია „რაოესი“.

„ხრამი-3“, „ხრამი-4“, „ხრამი-5“ — აშენების ნებართვებიც „რაოესს“ ევალება ხელშეკრულებით.

ყაზტრანსგაზ-თბილისი — რუსული კომპანია „გაზპრომი“.

გაზგამანაწილებელი კომპანია „იტერა“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.

შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.

გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

გარდაბნის მე-10 ენერგობლოკი — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოგრამი ხაზები — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

„მადნეული“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

„კვარციტი“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან —„რუსეთის რკინიგზა“.

კომპანია „ბილაინი“ — რუსული კომპანია.

„აზოტი“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

„გაერთიანებული ქართული ბანკი“ — რუსული კომპანია „ვითიბი“.

„ლუკოილი რუსული კომპანია” ლუკოილი.”

ზესტაფონის „ფერო“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

ელმავალმშენებელი ქარხანა — რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“.

არამიანცის, თბილისის #1 საავადმყოფო — რუსული კომპანია „ბატუსი“.

თბილისის წყალი — რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი“.

ენგურჰესი

რუსეთის ჩამოშლაზე ვოცნებობო, რომ ლაპარაკობს, იმ ქვეყნის სახელმწიფო შენობას ასეთ ეკონომიკურ ბერკეტებს რომ მიაშველებს და ზედ ქართულ ტერიტორიებს დაუმატებს, ის ქვეყანა ჩამოიშლება კი არა, უფრო აღორძინდება, გვიპასუხოს მიხეილმა.

ახლა აფხაზეთის თემით დაიწყო მანიპულირება და ვინც მოტყუვდება, იმათ აბრუებს — საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება აფხაზეთს კარგავსო.

აფხაზეთში რა ამბებიც დაატრიალა შევარდნაძემ, ვიცით, მაგრამ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის და მისი გუნდის, ანუ ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოს დასაქცევად, სელექციურად შერჩეულმა მოღალატეთა ჯგუფმა გააკეთა აფხაზებთან უფრო დასაშორებლად ცხრა წლის განმავლობაში, ცხადყოფს, რანი იყვნენ და რაც უნდოდათ. აფხაზეთს ცხინვალის რეგიონიც რომ მიუმატეს, ეს ნათელია და ისეთივე უტყუარი ფაქტი, როგორც ის, რომ თქვენ ახლა ჩემს გულისწუხილს კითხულობთ.

სააკაშვილის მთავრობა და თვით სააკაშვილი მოსვლის დღიდანვე დაჰპირდა ქართველ ხალხს: ჩემი მმართველობის პერიოდში აფხაზეთს დავიბრუნებო. დაბრუნება კი არა, არავითარი დიალოგი ან მოპალარაკება აფხაზურ მხარესთან ამ პერიოდში არ გამართულა. მეტიც, კონფლიქტოლოგებს ინტერვიუების დროს, არაერთხელ უღიარებიათ, რომ **„ნაციონალური “მთავრობა უცხოეთში აფხაზებთან დიალოგებზე ან არ ცხადდებოდა, ან სპეციალურად შლიდა მოლაპარაკებებს**. ეს ინტერვიუები „საერთო გაზეთის“ მკითხველებმა იხილეს გასულ წლებში. ამასთან ერთად, რომ შესრულებულიყო რუსული მხარის მოთხოვნები და სურვილები რომ განეხორციელებინათ, „ნაციონალებმა“ კოდორის, ანუ დალის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვეს და მერე ეს მხარეც როგორ ჩააბარეს რუსებს, გარკვეული საზღაურის საფასურად, ამის შესახებაც მოგეხსენებათ. ისიც კარგად გეცოდინებათ, ემზარ კვიციანი რომ არის მაშინდელი ღალატის მოწმე და თვითმხილველი. მას შემდეგ, რაც ის საქართველოში დაბრუნდა და დააპატიმრეს, ცხადია, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ დევნილობაში მყოფთან რამდენიმე ინტერვიუ ჩავწერე და მაშინაც მიდასტურებდა, ამ საქმეში მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ბარამიძე, სხვა ნაციონალები მონაწილეობდნენო.

შემდეგ იყო 2008 წლის ომი რუსეთთან...

მოდით, ლოგიკას მივყვეთ: თუკი საქართველო დასავლურმა უპრეცედენტო მხარდაჭერამ გადაარჩინა და როგორც მიშამ თქვა, უცხოელი დიპლომატები საზღვარზე „ლეჟანკით“ დაწოლას აპირებდნენ — დაე, რუსეთმა გადაგვიაროს და ისე შემოვიდეს საქართველოში, ჩვენი მეგობრის — სააკაშვილის სათაყვანებელ ქვეყანაში, ოღონდ აქაურობას არ დავთმობთო, მაშინ რატომ არ გაშალეს იგივე „ლეჟანკები“ უკრაინაში?

სააკაშვილი დღევანდელ ქართულ საზოგადოებას გაუნათლებელს უწოდებს, რაც, თუ ასეა, მისი დიდი დამსახურებაცაა, მაგრამ ამ „სიბნელეში“ ჩვენ გვახსოვს უნამუნოს სიტყვები, რომელიც ამბობდა: „ადამიანი, რომელსაც არ სურს დაფიქრდეს მარადიულობის პრობლემებზე, არის ცრუ და მხოლოდ ცრუ!..“

ერთ ცრუ კაცს, სახელად მიხეილ სააკაშვილს, საქართველოში კვლავ არეულობა, სისხლისღვრა და განადგურება უნდა. მან თავის დროზე მოახერხა და საქართველო დაყო თავისიანებად, ანუ აგრესიულ, რევანშისტულ ძალებად, რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს დომინანტურ, აქსიომატურ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ და უბრალო ხალხად, რომლებსაც ამ წუთისოფელში თავის სამშობლოში წყნარი ცხოვრება სურს. ამ უკანასკნელებთან დაპირისპირებას აპირებს სააკაშვილი, რომელსაც ქართველი და არა მხოლოდ ქართველი მოღალატეები უმაგრებენ მხარს.

აგრესია, ბოღმა და შეკავებული ენერგია, რომელიც ხალხში 9-წლიანი დიქტატურის დროს დაგროვდა, ქიმიის და ფიზიკის კანონების მიხედვითაც, არ შეიძლება დიდხანს იყოს აკუმულირებული, ის აუცილებლად ამოხეთქავს და დამარხავს არა მხოლოდ მის შემქმნელ „ნაცმოძრაობას“, არამედ ქართველი ერის პერსპექტივასაც... არ ვიცი, მაშინ მაინც თუ აღმოჩნდებიან განსასჯელის სკამზე სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ ბოსები, მაგრამ ის კი ვიცი, ხალხის წყევლა რომ წამოეწევა „ნაცმოძრაობას“, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. წამოეწევა და საბოლოოდ გაანადგურებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რომეო, ჯულიეტოვიჩი და ღია ეთერში მოწყობილი პროვოკაცია კოდური სახელწოდებით „დაასხი ცეცხლზე ნავთი“

ვისაც აღნიშნული გადაცემა ერთხელ მაინც უნახავს, იცის, რომ „არჩევანის“ წამყვანი გგიორგი გაბუნიაა, რომელიც ზოგისთვის მხოლოდ „იქს-ფაქტორის“ ჟიურის წევრობითაა ცნობილი და სხვა არც არაფერი აინტერესებს, თუმცა, „იქს-ფაქტორის“ მიმდინარეობისას მისი სალანძღავი ჯგუფიც კი შეიქმნა, იმდენად ცინიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ცალკეული გამომსვლელის მიმართ. და მაინც, გიორგი გაბუნიამ არ მოიშალა თავისი და, როგორც ფეისბუქ-მომხმარებლები ხუმრობანარევი სიმართლით აღნიშნავენ, მან ქართველი ხალხის საგინებელი კიდევ ერთხელ გახადა რომეო და ჯულიეტა. შექსპირი არაფერ შუაშია, იგულისხმება გაბუნიას დედა, პატივსაცემი ქალბატონი ჯულიეტა ვაშაყმაძე და ბაჩანა ახალაიას ერთ-ერთი ადვოკატი რომეო საჯაია.

„ჯულიეტოვიჩს“ რომ მიწოდებენ, ღიმილით ვხვდებიო – ნათქვამი

აქვს გაბუნიას... რას ერჩის გაბუნია საკუთარ დედას, რატომ აგინებინებს აბსოლუტურად უდანაშაულო მანდილოსანს ხალხს საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, ესაა საკითხავი, თორემ რომეო საჯაიას იმ დროიდან აგინებს ხალხი ღიად, როცა როლანდ ახალაიას დაქვემდებარებაში მყოფი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი იყო.

„გიორგი გაბუნია, კიდევ ერთხელ მოაწყობ ამას ტელევიზიაში და შენი ხელფასიდან გამოვქვითავ ჩემი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ხარჯებს. ინგა გრიგოლია, ნეტავი შენს გამძლეობას, კვირაში ერთხელ ამას რომ იტან... პ.შ. დამავიწყდა, მეთქვა – მადლობა პატრულს კარგად მუშაობისთვის და ოპერატიულობისთვის“, – დაწერა ნიკა გვარამიამ ფეისბუქში.

მართლა „ნეტავი გვარამიას“, რომ ამ ორიოდე ქვენართაული ბწკარის დასაწერად გარჯა არ დაეზარა, თორემ გაბუნია რისი მომწყობია, ერთი თანაკლასელი და თანამესტიქარე (ერთდროულად იყვნენ სტიქაროსნები) მატროსოვზე უზის, გიგი უგულავა და მეორე, ნიკა გილაური, სადღაც ჰყავს დაკარგული ნემსივით... თუმცა, რატომ? ბიჭი, რომელიც მისივე სიტყვებით „თმაგადაპარსული, წვერით დადიოდა, საყურე ეკეთა და შარვალი უკულმა ეცვა, პიჯაკი არასდროს სცმია და არც ჰალსტუხი ჰქონდა, შორს იყო პოლიტიკიდან და ეს ყველამ იცოდა, „კურიერი“ რომ წაეყვანა, გადაწყვეტილება იმ დროს „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ირმა ნადირაშვილმა მიიღო, ნადირაშვილი კი ისეთ შემტევ ტალღაზეა პარლამენტიდან (ზურგსა და ენა-ყურს უკან ბოკერია-სუფლიორით), ნიკა გვარამიას ვინ ჰკითხავს გაბუნიას ხელფასის ოდენობის განკარგვას?

მაინც, რა მოაწყო ისეთი გაბუნიამ, რაც ჯერ არავის მოუწყვია „რუსთავი-2-ის“ ეთერში? – არც არაფერი, „რუსთავი-2-მა“ რომ ე.წ „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო, მოწყობა ისე უნდა... ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო და ახლა რის მოწყობას აპირებს „რუსთავი-2“ 15 ნოემბრისთვის, ნეტავ, როდის დაინტერესდება ის, ვინც ამით უნდა იყოს დაინტერესებული? სხვათაშორის, მასმედიის ძალას ჯეროვნად რომ ვერ აფასებდნენ და როგორც ჩანს, ვერც დღეს აფასებენ, ფაქტები სახეზეა და ისევ ხალხი ყვირის ამის შესახებ, სხვა, ყველა, გატრუნულია.

გაბუნიამ რა ქნა, როგორც სხვა გადაცემების სხვა წამყვანები იქცევიან, გვერდიგვერდ დასხა ორი მხარე, ნავთი და თივა, შეუნთო ცეცხლი და გვერდზე გადგა ხელების გასათბობად. კი, ნამდვილად ხელების გათბობაა, უფრო ზუსტად, მოთბობა, როცა ამგვარ საქმიანობაში ფულს ოფიციალურ გიხდიან ჰონორარის სახელქვეშ...

იმ დროს, როდესაც ჟურნალისტი ზაზა დავითაია მეორედ სცემა „თავისუფალი ზონის“ წევრმა; იმ დროს, როცა საზოგადოების უმრავლესი ნაწილი იმავე ქმედების გამო „თავისუფალი ზონის“ ოფისთან ერთხელ უკვე მივიდა პროტესტის გამოსახატად; იმ დროს, როდესაც ხალხის უმრავლების მოთხოვნაა აიკრძალოს „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ და თვით „ნაცმოძრაობა“; იმ დროს, როცა „თავისუფალი ზონის“ წევრები (ქალიან-კაციანად) „არანაციონალების“ ტაფებით თავების დახეთქვაზე ღიად ოცნებობენ; იმ დროს, როცა „თავისუფალი ზონის“ გაურკვეველი წარსულის გოგო-ბიჭები ხალხის რისხვისგან პოლიციის დასაცავია, შენ კი ჭკუისსაკითხავად სტუდიაში იწვევ და ტელეეკრანიდან მაინც აპიარებ; იმ დროს, როდესაც ხალხი პირადი შურისძიების განხორციელებაზე შემართულია (ესეც სახელმწიფოს დანაშაულია), ხოლო „ნაცპროვოკატორები“ ათასგვარ სვლებს გეგმავენ სწორედ ცალკეული შეტაკებების გამოსაწვევად, მათ ერთად, ერთ სივრცეში „დაპატიჟებას“ და ერთმანეთზე მისევას რა სახელი შეიძლება დაერქვას? – გამიზნული ქმედება, რომელმაც დიდი ალბათობით შესაძლოა გამოიწვიოს მსხვერპლი, რაც თავისთავად გადაიზრდება უმართავ პროცესებში.

მას შემდეგ, რაც თარხან გასვიანმა „შე ჩათლახო“ სახეში მიათხლიშა რომეო საჯაიას, ეს, ყველასათვის კარგად ნაცნობი შეფასება ერთგვარ თავსატეხად იქცა, რა შეიძლება იყოს „ჩათლახის“ სრული არსი. ვინ არის ავტორი, უცნობია, არცთუ მოკლე „ნაღვაწისა“ დასათაურებით „ქართული თანამედროვე ჟარგონი+როგორ ახსნიდა მას სულხან-საბა ორბელიანი“, მაგრამ გასაოცარი განმარტება აღმოჩნდა. „ჩათლახი“ – ესე დიაცი კურომრავალი და ხასიათ განრყუნილი; ჩათლახივე არს სულიერი ქუეგამხედვარი და ავის ყოფისთვის მუდამ მეცადინე. ამის შემდეგ, გასაკვირია, ვინმემ იკითხოს, ნეტავ, რამდენი ჩათლახია ამ ქვეყანაზეო?

„ჯულიეტოვიჩის“ მიერ დათმობილ დროში რომეომ ჩამოარაკრაკა, თარხან გასვიანი ახლაც ნარკოტიკული თრობის ქვეშ არისო; ბიძამისმა ბებიამისი ნარკოტიკული თრობის დროს მოკლა, ხოლო თორნიკე გასვიანი (თარხანის მამა) კი ნარკოტიკებით ვაჭრობდაო. (სხვათაშორის, იმ თორნიკე გასვიანზეა საუბარი, რომელსაც სააკაშვილთან დაპირისპირების გამო 18 წელი მიესაჯა ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვა-გასაღებისთვის და რომლის წამების კადრები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გავრცელდა; იგივე თორნიკე გასვიანია, რომელიც იმავე სააკაშვილმა უკანონოდ მიტაცებულ დამატებით საპრეზიდენტო ვადაში 2012 წლის არჩევნების შემდეგ რატომღაც მალევე ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შეიწყალა შეწყალების კომისიის გვერდის ავლით და ციხიდან გამოუშვა.)

რა თქმა უნდა, რომეო საჯაიას ნაჩვევ პროკურორულ დაუსაბუთებელ ბრალდებებზე კომენტარის მიცემა არ ისურვა ადვოკატთა ასოციაციის ასევე უკვე რეპუტაციაშელახულმა თავმჯდომარემ, არადა, ორივე პერსონას ოფიციალურად ადვოკატი ჰქვია და სადღაც, სიმბოლურად მაინც არსებობს ადვოკატთა ეთიკის საბჭო, რომელსაც ჯულიეტას ბიჭთან ენის უმართებულოდ



რატრატის გამო რომეოსთვის საადვოკატო საქმიანობის შეჩერება შეუძლია...

(სხვათაშორის, ისიც საინტერესოა, არანაირ ეჭვს არ აჩენს თვით ადვოკატთა ასოციაციაში ის ფაქტები, რომ ვთქვათ, ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი თბილისის პროკურატურაში განყოფილების პროკურორი იყო 2006-2008 წლებში, 2008-2010 წლებში კი კახეთის სამხარეო პროკურორი? ან ის, რომ „კმარელი“ აქტივისტი გიორგი ონიანი უცბად თბილისის მთავარ პროკურატურაში დასაქმდა, 2006 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო, იმ დროს, როდესაც ამ უწყებას ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობდა და როდესაც ე.წ „ნავთლუღის ოპერაცია“ ჩატარდა და ბაჩო ახალაიას საქმეზე „პრაქტიკანტი ადვოკატის“ სტატუსით გამოჩნდა, მანამდე კი რომელიღაც არასამთავრო ორგანიზაციის სახელით აპროტესტებდა?)

„ისევე როგორც ყველა „კურიერელისთვის“, ჩემთვისაც ძირითადი თავშესაფარი „რუსთავი-2-ია“ – ეს გიორგი გაბუნიას სიტყვებია ორი წლის წინ, მაგრამ განა დღეს იგივეს არ იტყვის და მხარს არ აუბამენ სხვა მედია-საშუალებები?

რა ქნან იმ ადამიანებმა, რომლებიც არასდროს ყოფილან „კურიერელები“, „რუსთავი-2-ელები“ და მათი

განაყოფი მედია-საშუალებების წარმომადგენლები, „ნაციონალები“, სააკაშვილის ჯიბის პროკურორები, მოსამართლეები, ციხის უფროსები, ჯალათები, მკვლელები, სექსუალურად დაცემულები, პათოლოგები, ნარკომანები, ბოლო-ბოლო ჩათლახები?

ს.კ. – „მოკლედ, ერთი ძლიერი აქცია „ტელევიზიონშიკებს“ და ზოგადად მასმედიას უნდა მოვუწყოთ, რა!!! „რუსთავი-2“ არ ითვლება, მაგათი საშველი არ არის „კუდიანს სამარე გაასწორებს“, მაგრამ დანარჩენებზე ვამბობ, ინგა გრიგოლიათი დაწყებული და ჟიჟილაშვილით გაგრძელებული. მოთხოვნა უნდა იყოს ერთი: ნუ მიჰყავთ ეთერში ოდიოზური მასტები მფრინავი იდეებით, ნუ აღიაზიანებენ ხალხს, თორემ ერთი თუ დაიძრა ბორბალი, პირველი ტალღა მაგ ტელევიზიებს მოხვდებათ და მერე იპრუწუნონ მაგ დედამო...ებმა!

რას იტყვით ხალხო, თქვენი ნერვებისა და ჯანმრთელობის დასაცავად გამოხვალთ?

ნ. შ: – გამოვალთ! ყვავს რომ აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდა, ისე ელოდება ხალხი დაძახილს – დაგვაგლიჯეს ნერვები ამ ვითომ ჟურნალისტებმა.

ც. კ: – გამოვალ!

ნ. მ: – ინგა არ გახდა „ზვეზდა?“ რამდენი „პატივისცემა“ აქვს და გინება...

მ. ნ: – ჟიჟილაშვილი, სავარაუდოდ, ჟურნალისტია? რომელ არხზეა? ისე, მე არსად არ გამოვალ, რადგან საერთოდ არ ვუყურებ მაგ თქვენს იდიოტურ ტელევიზიებს და ჯანმრთელობასაც არ ვუჩივი!

ნ. რ: – აუცილებლად გამოვალ! ტელევიზორისკენ გახედვა აღარ მინდა ისე შემაზიზღეს...

ე. რ: – კიიიი!

ი. ტ: – სიამოვნებით გამოვალ! ამათი შიშით ტელევიზორს აღარ ვუყურებ, ნერვების გლეჯვა აღარ შემიძლია...

ზ. კ: – კარგი აზრია! ტვ-მედია ანტიქართულ ფერხულში ფეხაწყობილი ცეკვავს – კარგა ხნის წინ უნდა მიგვეჯირყვნა...

თ. რ: – აღარ ვუყურებ! ვერ წარმომედგინა თუ „რუსთავი-2-ს“ შევაქებდი, მაგრამ უნდა ვაღიაროო – პროფესიონალები არიან, ნაძირალობაც კი პროფესიონალურ დონეზე იციან...

კ. ჭ: – ვალტერ შურღაიაა საჭირო!

თ. ა: – სასწრაფოდ არის გასაკეთებელი!

გ.მ: – ბოლო-ბოლო აღარ მოვიდა დრო, რომ ბოლო მოეღოს ნაცბოლშევიკური იდეოლოგიის პროპაგანდას ღია ეთერიდან და საზოგადოების მასხრად აგდება-დაცინვას?

მოვდივარ! მოვდივარ! მოვდივარ! – და პასუხად „ჯულიეტოვიჩმა“ ახლა „ძებნილი“ მიხეილ სააკაშვილი გამოაძვრინა სტუდიაში, რომელმაც სხვა დანარჩენთან ერთად პირდაპირ დააბრეხვა, მშვიდობიანი გზით ხელისუფლება არ შეიცვლებაო...

„რუსთავი-2“-მა „ვარდების რევოლუციის“ სახით ერთი რევოლუცია უკვე მოგვიწყო...

საინტერესოა, ახლა რისი რევოლუციის მოწყობას აპირებს ეს ტელეკომპანია, რომელმაც, როგორც ჩანს, რევოლუციების მოწყობა პროფესიად გაიხადა?

დავით ქავთარია

ლადო ბედუკაძე

როგორ იკერებოდა სისხლის სამართლის საქმე და რა გზით აპირებდა სააკაშვილის რეჟიმი ირაკლი ღარიბაშვილის დაპატიმრებას?!

(წიგნიდან „ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები“)

ჩემი და ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძის ერთადერთი შეხვედრა, როგორც უკვე გითხარით, სტრასბურგში ევროპარლამენტში შედგა 2012 წლის 29 აგვისტოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ქალბატონ ურუმოვასთან.

2012 წლის სექტემბრის დასაწყისში ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დელეგაცია საქართველოს ეწვია.

დელეგაციის წევრები , რომელთა შორის ქალბატონი ურუმოვაც იმყოფებოდა, შსს მინისტრს ბაჩანა ახალაიას შეხვდნენ.

სავარაუდოდ, სტრასბურგელმა სტუმრებმა ახალაიას განუცხადეს, რომ მათთვის ცნობილი იყო საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში არსებული შემაშფოთებელი მდგომარეობის, ვიდეო-მტკიცებულებების და ბედუკაძის შესახებ და შეესაძლოა, გააფრთხილეს კიდეც, რადგან წინასაარჩევნოდ ამის გაჟღერება მართლაც დიდი დარტყმა იქნებოდა მმართველი რეჟიმისათვის.

რამდენადაც ვიცი, ცნობის მიღებისთანავე, თავის მხრივ, ახალაიამ საქმის კურსში ჩააყენა მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი.

საპასუხოდ, შსს-ს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და მთავარი პროკურატურის მიერ ერთობლივად დაიგეგმა კონტრნაბიჯების გადადგმა.

შემუშავდა სცენარი, რომლის არსიც შემდეგი იყო:

სასჯელაღსრულების ყოფილი თანამშრომელი ბედუკაძე კავშირშია პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პირველ ეტაპზე, „ჯერჯერობით“, უცნობ წარმომადგენელთან, რომლისგანაც მიღებული აქვს დიდი ოდენობით ფულადი თანხა, რის სანაცვლოდაც ბედუკაძე მე-8 საპყრობილის თანამშრომელთან ბორის ფარულავასთან ერთად სცემდა და სასტიკად აწამებდა საპყრობილეში პატიმრებს. დანაშაულებრივი ფაქტის საილუსტრაციოდ, კადრებს იღებდა როგორც ღიად, ასევე ფარულად. კოალიციის წევრების მიზანი საპარლამენტო არჩევნების წინ პატიმრების წამების ამსახველი კადრების საჯაროდ გავრცელების მიზნით ხელისუფლებისათვის ზიანის მიყენებაა. (იხ .დოკუმენტი 1)


საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

MINISTRY OF CORRECTIONS AND LEGAL ASSISTANCE OF GEORGIA

PENITENTIARY DEPARTMENT

№ 10/1-10077 25. 08 2012 წ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსს,

ბატონ ლ.მბარაშვილს

ბატონო ლუკან,

გაცნობებთ, რომ ჩემს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილის ყოფილმა თანამშრომელმა ვლადიმერ ბედუკაძემ ურიიერთთობა დაამყარა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ჯერჯერობით უცნობ წარმომადგენლებთან, რომლისგანაც მიღებული უნდა ჰქონდეს დიდი ოდენობით ფულადი თანხა. აღნიშნულის სანაცვლოდ, ვლადიმერ ბედუკაძე ხსენებული საპყრობილის კონტროლიორთან - ბორის ფარულავასთან (მეტსახელად „ბასტისთან“) და რამდენიმე დაუდგენელ თანამზრახველთან ერთად სცემდა და სასტიკად აწამებდა საპრობილეში მოთავსებულ პატიმრებს, რომლის ამსახველ კადრებს იგი იღებდა როგორც ღიად, ასევე ფარულად. პატიმრების წამების ამსახველი კადრების საჯაროდ გავრცელების გზით მიიღებული კოალიციის წევრს სურთ საპარლამენტო არჩევნების წინ არსებული ხელისუფლებისათვის ზიანის მიყენება.

ამავე ინფორმაციის თანახმად, ყოველივე აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო საქართველოს მოქალაქე ნუგზარ მაჭარაშვილი, რომელიც ეხმარებოდა ვლადიმერ ბედუკაძის ოჯახის წევრს მათი საზღვარგარეთ გაყვანის ორგანიზებაში.

აღნიშნული გეცნობებათ თქვენი შემდგომი რეაგირებისათვის.

პატივისცემით,

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე 25 08 12 01/13-55363 დ.ჯაკუა

„კოალიციის ჯერჯერობით უცნობი წარმომადგენელი“, არც მეტი, არც ნაკლები, დღევანდელი პრემიერ-მინისტრი, მაშინ კი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილის ერთგული და დასაყრდენი ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ, რომელმაც მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსის ლევან ფურცხვანიძის აღიარებითი ჩვენების თანახმად, ბედუკაძეს უკვე გადასცა კონკრეტული სოლიდური თანხა.

კოალიციასთან ჩემი „კავშირი“ დაადასტურა მეორე მოწმემ – ბიზნესმენმა ნუგზარ მაჭარაშვილმაც, რომლისგანაც ღალატს, უნდა ვაღიარო, არ მოველოდი. მაგრამ მივყვეთ მოვლენებს:

2012 წლის 18 სექტემბერს 58 საპყრობილეშივე დაეპატიმრეს ჩემი თანამებრძოლი, უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი ბორის ფარულავა, რომელიც, მოდულის შენობაში, სასურველი ჩვენების მისაღებად, სასტიკად სცემეს, აწამეს, დააძრეს ფეხის ფრჩხილები, რათა მიეცა ჩვენება ჩემი, თამაზ თამაზაშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ.

2012 წლის 19 სექტემბერს დაკითხვაზე დაიბარეს ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილიც, რომელიც ასევე დაჰკითხეს ჩემთან ყველა სახის კონტაქტების შესახებ. იმ ხანებში, ფაქტობრივად, ბეწვზე ეკიდა ელიზბარაშვილის თავისუფლების საკითხიც.

ამასობაში 2012 წლის 19 სექტემბერს საქართველო-სომხეთის საბაჟო გამშვებპუნქტზე აკავებენ ნ მერვე საპყრობილის რეჟიმის განყოფილების კონტროლიორს დათა აკობიას. ადამიანს, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაიღო ე.წ. „კარანტინის დაშლის“ კადრები.

ურუმოვა

მოწმის სახით აკობია, ასევე ადვოკატის გარეშე, მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ალექსანდრე მგელაძემ დაჰკითხა.

2012 წლის 19 სექტემბერს მოწმე დავით აკობია განმარტავს: „...გადაღების სანაცვლოდ ლადო ბედუკაძე მე დამპირდა ბელგიაში ჩაყვანას და შემდგომ იქ დახმარებას, როგორც მუშაობის დაწყებაში, ასევე სწავლის გაგრძელებაში. ასევე შემპირდა ბელგიაში ჩასასვლელ გზის ფულს, 400 აშშ დოლარს, რასაც მე გადმომცემდა ბორის ფარულავა. იმავდროულად, ლადო ბედუკაძემ მითხრა, რომ მის უკან იდგნენ სერიოზული ხალხი, რომელთაც ესაჭიროებოდათ ხსენებული ჩანაწერი, მაგრამ მათი სახელები და გვარები არ უთქვამს, არც სხვაგვარად მიუნიშნებია ჩემთვის, ვისზე იყო საუბარი, როგორც ჩანს, ეშინოდა, რომ მე რომ დავეჭირე, არ მეთქვა მათ შესახებ, თუმცა აღმითქვა, რომ ბელგიაში ჩასვლის შემდგომ მეტყოდა მათ ვინაობას.

შემოთავაზებულ წინადადებაზე მე ლადო ბედუკაძეს დავთანხმდი და აღვუთქვი დახმარება ჩანაწერის გაკეთებაში. რის შემდგომაც მე და ბორის ფარულავამ მოვილაპარაკეთ, რომ ფარული ჩანაწერი მე უნდა გამეკეთებინა 2012 წლის 24 აგვისტოს. კერძოდ, წინასწარ ამიხსნა, რომ იგი თავად შეიტანდა მე-8 დაწესებულებაში ჩამწერ აპარატურას, რაც იქნებოდა პატარა ზომის შარვალზე გასაკეთებელი ღილი, რომლის მეშვეობითაც მე უნდა ჩამეწერა ყოველივე. მართლაც, 2012 წლის 24 აგვისტოს დაახლოებით 16-17 საათისთვის ბორის ფარულავამ დაწესებულებაში გადმომცა ჩამწერი საშუალება, მე შევედი საპირფარეშოში და მივიმაგრე შარვლის ღილის ადგილას, ისე, რომ ქამარს არ შეეშალა ხელი გადაღებაში, ამის შემდგომ 18 საათისთვის, როგორც წესი, იწყება კარანტინიდან პატიმართა კორპუსებზე გადანაწილება, მე ხსენებული დროისათვის შევედი კვლავ საპირფარეშოში და ჩავრთე ჩამწერი მოწყობილობა“.

როგორც ხედავთ, ჩვენების თანახმად, შეთავაზებულ წინადადებას აკობია დასთანხმდა, თითქოს მე აღ-

გიორგი ფოფხაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25-29

მითქვა დახმარება ჩანაწერის გაკეთების საქმეში. რითაც, ფაქტობრივად, აღიარა დანაშაული და თანამონაწილეობა დანაშაულებრივ დაჯგუფებაში, ფინანსური სარგებელის მიღების მიზნით „ქართული ოცნებიდან“, რომლის მიზანი სააკაშვილის რეჟიმის დისკრედიტაცია გახლდათ.

სააკაშვილის ხელისუფლებამ დათა აკობიას აღიარებითი ჩვენება სასწრაფოდ გაავრცელა ტელევიზიით.

აკობიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, რადგან აკობია იყო ერთ-ერთი ცრუ მოწმე ღარიბაშვილის, ანუ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, თითქოსდა ოცნების ტყუილის გამოსააშკარავებლად და იმის დასამტკიცებლად, ვითომ ყველაფერი დადგმული და მოგონილი იყო და სინამდვილეში ციხეებში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა.

მურთაზ ზოდელავა


ლევან ფურცხვანიძე

ცრუ მოწმეთა ე.წ. ჩვენებები გახლდათ, ფაქტობრივად, იმ მზაკვრული გეგმის ერთი რგოლი, რომლითაც, კვლავ ბნელი მაქინაციის საშუალებით, აპირებდა „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერები იმ ძალადობისა და სისასტიკის მიჩქმალვას, რასაც ქართულ ციხეებში სინამდვილეში ხდებოდა, რათა ნაციონალებს კვლავ მოეწყოთ ქართველი ხალხის ნელი გენოციდი ციხე-საპატიმროებში და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში.

იმავე დღეს, 2012 წლის 18 სექტემბერს აკობიამ დაწერა განცხადება მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე, რადგანაც: „მან ითანამშრომლა გამოძიებასთან“ და მოითხოვა მის მიმართ მოწმის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის დადგენილებაში წერია:

„2012 წლის 19 სექტემბერს, ხსენებული სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ იქნა დათა აკობია.

ვინაიდან მოცემული სისხლის სამართლის საქმის შინაარსიდან გამომდინარე, არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრებოდა მის სიცოცხლეს, 2012 წლის 19 სექტემბერს გამოტანილ იქნა დადგენილება დათა აკობიას მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესახებ“.

მოწმე აკობიას, მოწმე მაჭარაშვილის მსგავსად, მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორის არჩილ ტყეშელაშვილის და მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის დავით ჩხატარაშვილის დადგენილებით, 2012 წლის 19 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე უსრულებენ თხოვნას და სვამენ მოწმის დაცვის პროგრამაში ერთი თვით და გადაჰყავთ კონსპირაციულ ბინაში საცხოვრებლად.

ნუგზარ მაჭარაშვილი

სააკაშვილისთვის თვალის ახვევის მიზნით, თითქოსდა რეჟიმი წინასწარ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული გეგმის შესახებ, წინა რიცხვით 2012 წლის 25 აგვისტოს ე.წ. „ციხის კადრების“ საქმესთან დაკავშირებით იწყება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება – ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის აღების ფაქტზე ჩადენილი დიდი ოდენობით, ჯგუფურად და შეკვეთით, ასევე ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად და შეკვეთით დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.

2012 წლის 18 სექტემბერს სს საქმეზე № 074250812801 შსს კუდ-ის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველის გამომძიებელი ბაჩუკი ლაგვილავა, კვლავ ადვოკატის გარეშე, მოწმის სახით ჰკითხავს მოქალაქე ნუგზარ მაჭარაშვილს.

მე ხელთ მაქვს მაჭარაშვილის ჩვენებაც, სადაც იგი ამბობს: „... ვლადიმერ ბედუკაძემ ასევე მითხრა, რომ ევროპაში მისთვის უკვე მოგვარებული იყო საცხოვრებელი ფართის პრობლემა და წინასწარ აღებული ჰქონდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან 150 000 აშშ დოლარი, კონკრეტულად თუ ვინ მისცა მას აღნიშნული თანხა, ჩემთან საუბრისას არ დაუკონკრეტებია“.

ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მაჭარაშვილი 2012 წლის 24 სექტემბერს, აკობიას მსგავსად, მოწმის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩაუსვამთ და დაჰპირებიან, ბიზნესს გაგიძლიერებთო.

2012 წლის 18 სექტემბერსვე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს II სამმართველოს უფროსის მოადგილე-გამომძიებელმა თეიმურაზ ბიჭოშვილმა ადვოკატის გარეშე მოწმის სახით დაჰკითხა სასჯელაღსრულების ნმე-8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე.

მოწმე ფურცხვანიძე თავის ჩვენებაში ბიზნესმენ მაჭარაშვილზე შორს წავიდა და „დაადასტურა“: „... ბედუკაძემ ჯერ კიდევ მე-8 საპყრობილეში მუშაობისას

ზურაბ ადეიშვილი

გამანდო, რომ ურთიერთობა ჰქონდა იმჟამად პატიმრობაში მყოფ კახეთის შსს მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსთან, გენერალ თამაზ თამაზაშვილთან.

იმ პერიოდში, როცა ვლადიმერ ბედუკაძე ჯერ კიდევ №8 საპყრობილეში მუშაობდა, სამსახურში ერთ-ერთი შეხვედრისას მან გამანდო, რომ მან ახლო ურთიერთობა დაამყარა იმჟამად პატიმრობაში მყოფ, კახეთის შსს მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსთან, გენერალ თამაზ თამაზაშვილთან. ამ პიროვნების სიძე ირაკლი ღარიბაშვილი არის პოლიტიკური მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი და მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი. თამაზ თამაზაშვილისთვის ვლადიმერ ბედუკაძეს უთქვამს, რომ მას ჰქონდა საპყრობილეში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-კადრები. თავის მხრივ კი ამ პატიმარს ვლადიმერ ბედუკაძე დაუკავშირებია ირაკლი ღარიბაშვილთან.


დავით აკობია

ვლადიმერ ბედუკაძესა და ირაკლი ღარიბაშვილს ერთმანეთთან მოულაპარაკებიათ, რომ დიდი ოდენობით ფულის გადახდის სანაცვლოდ, წამების ამსახველ ვიდეოკადრებს ირაკლი ღარიბაშვილის საშუალებით ლადო გადასცემდა დაინტერესებულ პირებს, რათა ისინი გაევრცელებინათ საჯაროდ. ამ სკანდალური მასალის გამოქვეყნებით კი სერიოზულ ზიანს მიაყენებდნენ არსებული ხელისუფლების პრესტიჟს. ამავე საუბარში ვლადიმერ ბედუკაძემ შემომთავაზა, რომ მეც მომეხდინა პატიმრების წამების კადრების გადაღება, რომელშიც სერიოზულ თანხას გადაიხდიდა ირაკლი ღარიბაშვილი და ეს ფული მისი (ე. ი. ვლადიმერ ბედუკაძის) საშუალებით გადმომეცემოდა. ვინაიდან მატერიალურად მიჭირდა, ამიტომ გადავწყვიტე შემექმნა ასეთი კადრები.

... იქვე ამიხსნა, რომ სულ მალე დაიწყებოდა მის მიერ მოპოვებული სკანდალური კადრების გამოქვეყნება ტელევიზიით, რომელიც მას უკვე გადაცემული ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილისთვის“.

ფურცხვანიძის ჩვენების თანახმად, თურმე, „ირაკლი ღარიბაშვილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებიც ჰყოლია კავშირზე“, მაგრამ მათ ვინაობას და გადაბირების ხერხებს თურმე არ ვუმხელდი.

ყოველივე აქედან, ფაქტობრივად, ჩანს, რომ არსებობდა საკმარისი უტყუარი მტკიცებულებათა ერთობლიობა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე აღეძრათ საქმე უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ.

ყველაფერ ამას ჩემი „აღიარებითი ჩვენებაც“ თუ დაერთვებოდა, საქმე ასმაგად გაადვილდებოდა. ამით კი ახლოვდებოდა, ნაციონალების აზრით, მათი მთავარი ჩანაფიქრის, ირაკლი ღარიბაშვილის, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის დაპატიმრების სიამოვნების განცდა, რაც შემდეგ განვითარებულმა სპონტანურმა და, შეიძლება ითქვას, ყველასგან გაუთვლელმა მოვლენებმა შეაფერხა და აუხდენელ ჩანაფიქრად დაუტოვა კრიმინალურ-ნაციონალურ ხროვას.

ეკონომიკის განვითარების მიზნით ქვეყნის ქონება და ფულადი მასა ფაქტობრივად 300 კაცს გადაეცა, მათ კი ყველაფერი სახლში წაიღეს



დავით გაგნიძე

ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომლის განცხადებითაც საქართველო კომუნისტების პერიოდშიც და შემდეგაც მთელს პოსკომუნისტურ სივრცეში ყველაზე მდიდარი ქვეყანა იყო, რომელიც შეგნებულად გააღატაკეს.

დავით გაგნიძე: „ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, იმ პერიოდში ღვინოში შაქრიან წყალს რომ ურევდნენ და „გადაჭარბებით“ ასრულებდნენ ღვინის წარმოების გეგმებს, ედუარდ შევარდნაძემ მეღვინეებს თათბირი ჩაუტარა, ფული ძალიან ნუ გაგათავხედებთო. ქვეყნის პირველმა პირმა თათბირზე თურმე ასეთი რამ თქვა, ინფორმაცია მაქვს, რომ ერთერთმა მეღვინემ ცოლი გადამყიდველთან მიიყვანა, რომელმაც „დუბლიონკაში“ 5.000 მანეთი მოსთხოვა, მაშინ ეს ძალზე სერიოზული თანხა იყო, ამ ფასად ავტომანქანას იყიდდი. მეღვინემ სიძვირის მომიზეზებით ცოლს უარი უთხრა „დუბლიონკის“ შეძენაზე, თუმცა მერე მობრუნდა და საყვარლისთვის იყიდა, 1000 მანეთიც დაამატა, რომ გადამყიდველს „საიდუმლო“ შეენახაო. აი, ამ სიმდიდრის პატრონები იყვნენ თუნდაც მეღვინეები. ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ თათბირზე შევარდნაძეს ისიც ჰქონდა ნათქვამი, მოსახლეობაში 25 მილიარდი მანეთია დალექილი, ვაჭრობა კი ამ ფულს ვერ იღებს, რას აკეთებთო. ეს ის პერიოდია, როცა ერთი აშშ დოლარი 67 კაპიკი ღირდა. აი, ამ ოდენობის თანხა იყო საქართველოს მოსახლეობაში და რა დღეში ჩააგდეს მერე ჩვენი ხალხი. ეს კანონიერი გზით მოპოვებული თანხა იყო, ხალხი ყურძენს, ციტრუსს, სხვა დასახელების ხილს და ბოსტნეულს აბარებდა სახელმწიფოს, ანუ ბიუჯეტიდან ფაცემული ოფიციალური თანხა იყო. ამ ფულს კი ვერ იღებდა სახელმწიფო, რაც დამანგრევლად მოქმედებდა ქვეყანაზე. სწორედ 80-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო საბჭოთა კავშირში ინფლაცია, რამაც ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა“.

- რატომ ვერ იღებდნენ, სახელმწიფოს როგორ უნდა ამოეღო ეს ფული და საერთოდაც რატომ იწვევდა ფულის მასის ვერ ამოღება ინფლაციას?

- ხალხს შემნახველ სალაროებში ფული არ შეჰქონდა, რაც ბიუროკრატიული ბარიერების ბრალი იყო. უცებ რომ დაგჭირებოდა სალაროდან მსხვილი თანხის გამოტანა, ლამის ერთი კვირა უნდა დაგეცადა, ახლა ამდენი ფული არ გვაქვს, დაგველოდეთ და მოგიგროვებთო. ამიტომ ხალხს ერჩია ფული შემნახველი სალაროს მაგივრად, ასე ვთქვათ, მუთაქებში შეენახა. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში რომ ენდო მოსახლეობა ბანკებს და რაც დაემართა, ამ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ. ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში თავისი წილი პასუხისმგებლობა რომ ეგრძნო, სავალალო მდგომარეობამდე არ მივიდოდით. დავუბრუნდეთ ისევ კომუნისტების, უფრო ზუსტად შევარდნაძის ცეკას პირველი მდივნობის პერიოდს, მოსახლეობიდან ფულის ამოღების სერიოზული საშუალება ვაჭრობაა, ანუ სავაჭრო ობიექტებში ისეთი საქონელი უნდა შეეტანათ, რომ ხალხს მისი შეძენის სურვილი გასჩენოდა. ალბათ გეხსომებათ, მაღაზიები ან გამოცარიელებული იყო, ანდა სამამულო წარმოების ისეთი უხარისხო საქონელი იყიდებოდა, ახლოს ვერ გაეკარებოდი. თუ რაიმე ხარისხიანი იყო, ისიც უცხოური წარმოების და „დახლსქვემოდან“ იყიდებოდა. ფულის ამოღების გარკვეული წილი საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოდის, ეს არის აბანო, საპარიკმახერო, ქიმწმენდა, სამკერვალო, დედაქალაქისა და სხვა დიდი ქალაქების გარდა, ეს სფერო ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა. ხელისუფლება ფულის ამოღების მიზნით მოსახლეობას ხომ არ დააყაჩაღებდა (კომუნისტების პერიოდში ამას „შავი სამყარო“, ე.წ. „კანონიერი ქურდები“ აკეთებდნენ), ამიტომ ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა ბანკებში ბიუროკრატიული ბარიერების მოშლასთან ერთად ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მოწესრიგებაზეც ეზრუნა, რომლებიც ამოიღებდნენ მოსახლეობიდან ფულს, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტში შეავიდოდა. შევარდნაძე გიჟს ჰგავდა, რადგან ხსენებული 25 მილიარდის 10%-იც კი ვერ ამოიღეს.

როგორც გითხარით, თუ ფულის დიდი მასა მოსახლეობაში დარჩა, ინფლაციური პროცესები დაიწყება და რატომ – სახელმწიფომ ხელფასები და პენსიები ხომ უნდა გასცეს? მითუმეტეს, რომ მაშინ კერძო სტრუქტურები არ არსებობდა და ხელფასებს სახელმწიფო იხდიდა. როცა დიდი ოდენობით ფულის მასა მოსახლეობაშია დარჩენილი, ანუ „დაძინებულია“, ბუნებრივად იქმნება ფულადი კუპიურების დეფიციტი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო



იძულებულია ემისიაზე წავიდეს, ანუ ფულის ახალი კუპიურები გამოუშვას, ამას ემატება ხალხში დარჩენილი ფული, კუპიურების ზედმეტობა კი ინფლაციას იწვევს. 80-იან წლებში მხოლოდ ერთ წელს შევიდა 25 მილიარდი მანეთი, საიდანაც 22,5 მილიარდი ხალხში დარჩა, სხვა წლებშიც ხომ შედიოდა მოსახლეობაში დიდი ოდენობით ფინანსები, რომლის უდიდესი ნაწილიც ისევ ხალხში რჩებოდა, ანუ ინფლაციას სისტემატური ხასიათი მიეცა. მაშინდელმა ხელისუფლებამ რაღაც დონეზე ეტყობა გაითვალისწინა ყოველივე ზემო თქმული და კახეთის რეგიონში შეიტანეს ხარისხიანი იმპორტული საქონელი, იუგოსლავიური და თურქული „დუბლიონკები“, ფეხსაცმელები და ა.შ., მოსახლეობიდან ფული რომ ამოეღოთ. მაშინ კახეთში ვმუშაობდი და თვითონ ვარ ამის შემსწრე, მაღაზიებში ისეთი საქონელი იყიდებოდა ადრე რომ არავის უნახავს. მოგეხსენებათ კახეთი ყურძნის მწარმოებელი მხარეა, თუ არ ვცდები ყოველწლიურად 600.000 ტონა ყურძენი იკრიფებოდა და ცხადია, მოსახლეობის შემოსავალიც დიდი იყო, თუმცა მთლიანი თანხები მაინც ვერ „ამოქაჩეს. ამ კუთხით მთავარი მაინც ანაბრები იყო, ხალხს კი არ შეჰქონდა ფული შემნახველ სალაროში ხსენებული მიზეზების გამო, დასავლეთში მაშინვე მოწესრიგებული იყო ეს პრობლემა, ფულის მასა ხალხში არ ტრიალებს, ყველა საკრედიტო ბარათით სარგებლობს, იმიტომაც არის ეს ქვეყნები ინფლაციისგან მეტნაკლებად დაცული. 50-იანი წლების დასაწყისში სტალინმა მეცნიერ-ეკონომისტებთან შეხვედრისას ასეთი რამ თქვა, სოციალიზმს არ აქვს იმის საშუალება, რომ ხელფასები გაზარდოს, სამაგიეროდ შეუძლია ფასები შეამციროსო, რაც საბოლოო ჯამში ხალხისთვის ერთი და იგივეაო. ეს კაცი ამას აკეთებდა მოსახლეობაში ზედმეტი ფული რომ არ დარჩენილიყო, რაც ინფლაციურ პროცესებს გამოიწვევდა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ დღეს ბაზარსა თუ მაღაზიებში ხურდა როგორ ჭირს, ბრუნვაში სულ ახალი კუპიურებია, თანაც ათლარიანები და ზემოთ, ეს იმაზე მეტყველებს, ქვეყანაში ინფლაციური პროცესები მიმდინარეობს. ძალიან გთხოვთ, ეს აუცილებლად დაწეროთ, რომ თითოეულ კუპიურას, მნიშვნელობა არ აქვს, 100-იანი იქნება, 200-ლარიანი თუ სხვა, თავისი დახურდავების კუპიურა უნდა მოყვეს, რომ ხალხმა ადვილად დაახურდაოს. როცა ხურდა მარტო ბაზარსა და მაღაზიებში კი არა, უკვე ბანკებშიც ჭირს, ეს ნიშნავს, რომ გამოდის მაღალმაჩვენებლიანი დამატებითი კუპიურები, რომლებსაც დამხურდავებელი არ მოყვება, ე.ი. ქვეყანაში ინფლაციური პროცესია, რომელიც პირდაპირ არ ჩანს, ანუ ფარული ინფლაციური პროცესები მიმდინარეობს.

- გამოდის ქვეყანაში ემისია ჩატარდა. ისე დღესაც თუ არის მოსახლეობაში ფულის დიდი მასა?

- ყოველთვის ტარდება მოსახლეობაში მღელვარება რომ არ გამოიწვიოს, ხელფასები ხომ უნდა გასცენ, უფრო ზუსტად პენსიები და დახმარებები, სახელმწიფოს ძირითადად ეს თანხები უფრო აქვს გასაცემი. მაგალითისთვის პურს ავიღებ, ერთი ცალი პური 70, მაქსიმუმ 75 თეთრი უნდა ღირდეს, თუ მეტი ეღირება, ძალაუნებურად ინფლაციური პროცესები წავა და 75 თეთრის ნაცვლად 80-90 თეთრი და მეტიც ეღირება. საბჭოთა კავშირი იმიტომ დაინგრა, რომ 80-იანი წლების ბოლოს ყველა უბედურებასთან ერთად ფასებიც რომ არ რეგულირდებოდა. საქართველოში უფრო შორს წავიდნენ, ჯერ პრივატიზაციის პროცესი არ იყო ჩატარებული, რომ ფასები გაათავისუფლეს. პრივატიზაცია მანამდე რომ ჩატარებულიყო, მოსახლეობისგან ფულის მასას მასიურად ამოიღებდნენ და და ფული თავის მსყიდველობით უნარს შეინარჩუნებდა. კომუნისტების დროს პური 30 კაპიკი ღირდა, მერე ლამის გაათნაგდა, ვინც მეტს გადაიხდიდა, პურსაც იმას მისცემდნენ, გაიხსენეთ რიგები მაღაზიებთან და

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

პურის ქარხნებთან, და დაიწყო კიდეც ინფლაცია. კომუნისტების დროს „ჟიგული“ (ვაზ-2101) 5500 მანეთი ღირდა, 1992 წელს კი კაცმა ჩემს თვალწინ სამ დაკლულ ქათამში 7500 რუბლი გადაიხადა. ახლაც იგივე ხდება, თუ 3-4 წლის წინ ოთხსულიან ოჯახს

ვანო ჩხარტიშვილი

დღეში ათი ლარი ყოფნიდა, დღეს ეს თანხა ერთ სადილს არ ეყოფა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ეს სააკაშვილის ხელისუფლების დამსახურება იყო, უბრალოდ ინფლაციურ პროცესებზე ვამახვილებ ყურადღებას. ამას ჰქვია ჩუმი, ფარული ემისია, დამატებითი კუპიურების გამოშვება, რაც ანგრევს ქვეყანას.

რაც შეეხება იმ საკითხს, დღესაც თუა დალექილი ფულის დიდი მასა, რა თქმა უნდა არის, ოღონდ ცალკეული პიროვნებების, ვიწრო წრის ხელშია. უბედურება ის არის, რომ ეს ზედმეტად გამოსული კუპიურების დიდი წილი ისევ იმ ხალხის, ხელში იყრის თავს, რომელმაც თავის დროზე უკანონოდ დააგროვა ეს ფული, ეს ანგრევს ქვეყანას. მათ რომ ქველმოქმედება გასწიონ, ასე არ მოხდება. შევარდნაძის მმართველობისას ოპერატიული ინფორმაცია მივიღეთ, რომ ამერიკელებმა მას შესთავაზეს, რომ 300 პიროვნება ექციათ მსხვილ ბიზნესმენებად და ძირითადად, მათ ხელში მოექციათ საქართველოში არსებული ფულადი მასა. მერე ეს ხალხი ქველმოქმედებას გასწევს, ეკონომიკას განავითარებს და მოსახლეობას ფეხზე დააყენებსო. შევარდნაძემ დაუჯერა ამერიკელებს და მართლაც მისცა ამ ხალხს ხსენებული ქონება პრივატიზაციის ეგიდით ბანკებისა და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების სახით, მაგრამ მათ ყველაფერი სახლში წაიღეს.

- სიმართლე გითხრათ, ბადრი პატარკაციშვილისა და ბიძინა ივანიშვილის გარდა, ქველმოქმედი არც მსმენია. მგონი გოგი თოფაძეც აფინანსებდა ვიღაც-ვიღაცეებს.

- პატარკაციშვილსა და ივანიშვილს საქართველოში არ უშოვიათ ფული, გოგი თოფაძემ კი კრედიტების მეშვეობით შექმნა თავისი წარმოება, მე იმ ხალხზე გეუბნებით ვისაც შევარდნაძემ მისცა ქონება, თუნდაც ბანკები. ვანო ჩხარტიშვილის, ზაზა სიორიძის, მამუკა ხაზარაძის ან ახვლედიანების (შევარდნაძის მძახალი) მიერ გაწეული ქველმოქმედება თუ გინახავთ, ან თვითონ ედუარდ შევარდნაძის ქველმოქმედებაზე გსმენიათ? ერთხელ ტელევიზიით აჩვენეს პრეზიდენტ შევარდნაძესთან ქალი რომ მივიდა, პურის ფული არ მაქვს და დამეხმარეთო, ამან კიდევ, არც მე მაქვს და როგორ დაგეხმაროთო. შევარდნაძეს თუ არ ჰქონდა, აბა ვის ჰქონდა? ყველაფერი სახლში წაიღეს და ახლა კაცი არ არის იმის მომკითხავი, ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე რომ გახდნენ მილიარდერები თუ არა, მილიონერები მაინც. უშუქობის პერიოდი დაგავიწყდათ, ხალხს მასობრივი ფსიქოზი და დეპრესია რომ დამართეს? ეს ყველაფერი ხომ ხელოვნურად იყო შექმნილი. ქართული ჰესებისა და თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას თურქეთში გაცილებით იაფად ყიდდნენ, ხოლო საქართველოს მოსახლეობას წყვდიადში ამყოფებდნენ. თურქეთიდან მყარი ვალუტა შემოდის, ნაღდი შემოსავალია, ჩვენი მოსახლეობისგან კი დენის ღირებულებას ვერ ვიღებთო, გამრიცხველიანების არ ქონას იმიზეზებდნენ. ამერიკული კომპანია შემოიყვანეს და დედაქალაქი მთლიანად გაამრიცხველიანეს, მაგრამ ხალხს დენს მაინც არ აძლევდნენ. კაცი არ არის ვინც დაითვლის რამდენი ჰესია საქართველოში და მათგან რამდენი მუშაობს, ვიღაცეებს მუქთად რომ გადასცეს, მილიონობით ინვესტიცია უნდა შემოიტანონო, ვინმემ რაიმე გააკეთა? ამდენი ჰესი აშენდა, ამდენი კიდევ შენდება, ამას დაუმატეთ გარდაბნის თბოელექტრო სადგური და თურმე დენი კიდევ არ გვყოფნის. საქართველოში მეტროსა და რკინიგზის მეტი არაფერი მუშაობს და სად მიდის დანარჩენი ელექტროენერგია? „ანტირუსმა“ სააკაშვილმა ენგურჰესი ხონჩით მიართვა რუსებს, რომელიც აფხაზეთის გარდა კრასნოდარის მხარესაც ამარაგებს ელექტროენერგიით. მესმის, რომ ჩვენი ჰესები სეზონურია, ზამთარში წყლის მარაგი კლებულობს, მაგრამ ეს არ ამართლებდა ჩვენს ელექტრო „მამებს“, თავისუფლად შეეძლოთ ზაფხულში თვითონ მიეწოდებინათ თუნდაც რუსეთისთვის ელექტროენერგია, ზამთრის პერიოდში კი იქიდან მიეღოთ, მაგრამ ამას არ აკეთებდნენ, რადგან ხალხი მათთვის არაფერს ნიშნავდა.

- ბატონო დავით, ჩვენს ერთ-ერთ წინა ინტერვიუში განაცხადეთ, რომ დემურ დვალიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს მავანთ უზარმაზარი კრედიტები გაჰქონდათ, რაც დანიშნულებისამებრ არ გახარჯულა, რის შედეგადაც მივიღეთ ქართველ მდიდართა „კასტა“, ხოლო დვალიშვილმა თავი მოიკლა. თქვენ იმ პერიოდში გატარებულ ფულად-საკრედიტო ემისიაზეც საუბრობდით, რომელმაც ფაქტობრივად დააქცია საქართველო. რა როლი მიუძღვოდა ამ ყველაფერში ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, რომელმაც თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, თავი კი არ მოიკლა, მოკლეს?

დემურ დვალიშვილი

- დემურ დვალიშვილი ამ ყველაფერში სრულიად უდანაშაულო იყო. ხსენებული ემისია გაატარა რუსეთმა და არა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მას ამის უფლება არც ჰქონდა, რადგან რუბლის ემისია ჩატარდა. საქართველოს ხელისუფლების დანაშაული ის იყო, რომ ჩვენ ისევ სამანეთო ზონაში ვიყავით, დამოუკიდებლობას როცა აცხადებ, პირველ რიგში ეროვნული ვალუტა უნდა შემოიღო, ეს არის დამოუკიდებლობის უპირველესი მაჩვენებელი, ამათ კი კუპონი 1993 წელს გაუშვეს ბრუნვაში. ვიღაცის ფული რომ ტრიალებს შენს ქვეყანაში, არ უნდა იცოდე, რომ ამას გამოიყენებს, მით უმეტეს მტრულად განწყობილი სახელმწიფო და ეკონომიკას დაგინგრევს? ახლახანს წავიკითხე ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის რომან გოცირიძის ინტერვიუ და სიმართლე გითხრათ, გავოგნდი. სანდრო კავსაძის გატაცებასა და ოდეერების ინსტიტუტის არსებობაზე საუბრობს და ყველაფერს ამას აბრალებს. თუ იცოდი რომ ოდეერები გყავდა, რაც დამღუპველად მოქმედებდა, რაღას აჩერებ მათ სამსახურში. ოდეერები მარტო ინფორმაციას ხომ არ გადასცემდნენ, ისინი ინსტრუქციებსაც ღებულობდნენ, საიდან იღებდნენ ამ ინსტრუქციებს ესეც საკითხავია. სპეციალისტი რომ ხარ და ხედავ აბსურდული ინსტრუქციებია რაღას ასრულებ, ან რა შუაშია აქ პოლიცია, თურმე ოდეერებს პოლიცია აკონტროლებდა. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ოდეერი უშიშროების სამსახურის კადრია, ეს სამსახური კი მაშინ სრულიად დამოუკიდებელი უწყება იყო. რა გამოდის, ეს ადამიანი თვით ლუსტრაციას აკეთებს, რომ მისი უწყება ოდეერებს ემორჩილებოდა, რომლებიც თავის მხრივ ვის ემორჩილებოდნენ კაცმა არ იცის. როდესაც ჩემს ქვეყანაზე უარყოფითად მოქმედებს, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს ვის გადაეცემოდა ეს ინფორმაციები და საიდან მოდიოდა ინსტრუქციები, ამერიკიდან თუ რუსეთიდან.

ზაზა სიორიძე

ხსენებულ კოლოსალურ კრედიტების გაცემასთან დაკავშირებითაც არაფერ შუაში იყო დვალიშვილი, მას ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები ავალებდნენ და ბუნებრივია, უარს ვერ ეტყოდა. ეს ოდეერბი დვალიშვილის პრეზიდენტობისასაც ისხდნენ ეროვნულ ბანკში და ისიც იძულებული იყო დამორჩილებოდა მათ ინსტრუქციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას თანამდებობაზე არავინ გააჩერებდა. დემურ დვალიშვილი ხსენებულ კრედიტებთან დაკავშირებით (ვინ და რატომ გაიტანა) შსს-ს შენობაში დაიბარეს დასაკითხად. როგორც მაშინ სამინისტროში საუბრობდნენ ჯერ მოწმედ უნდა დაკითხულიყო, მერე ეჭვმიტანილად ცნობასა და დაჭერას უპირებდნენ. საიდან აღმოაჩნდა დვალიშვილს ცეცხლსასროლი იარაღი, როცა გამორიცხული იყო შსს-ს შენობაში იარაღის შეტანა, მითუმეტეს ბატონი დემური პატიოსანი კაცი იყო და ის არ გარისკავდა იარაღის შეტანას. მაშ როგორ მოიკლა თავი? ეტყობა უთხრეს მოიკალიო და ისიც იძულებული გახდა, შეიძლება სულაც თვითონ მისცეს იარაღი. სხვა რა დასკვნა უნდა გამოიტანო? იმ პერიოდში მეც შსს-ს აპარატში ვმუშაობდი, შეიძლება იმ შენობაში მისი მკვლელობა-თვითმკვლელობის ამბავი ვერც გაგვეგო, უბრალოდ კაბინეტის კარი ღია იყო და სროლის ხმა გავიგეთ. მერე ისიც ითქვა, რომ თითქოს დერეფანში იდგა და იქ მოიკლა თავი, ეს ძალიან მეეჭვება, ჯერ თურმე კაბინეტშიც არ იყო შესული, ანუ დაკითხული არ იყო და ვინ დაუშვებდა იმას, რომ მას თავი მანამდე მოეკლა. ერთი სიტყვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ვრცელდებოდა, მოგვიანებით პრესაში სულ სხვა ვერსიები დაიბეჭდა, თითქოს დვალიშვილი დამნაშავე იყო, სპეციალურად ავრცელებდნენ ხმებს, ამ უდანაშაულო ადამიანზე უნდოდათ ჯოხის გადატეხა. სხვათა შორის, ე.წ. რეფორმატორების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ გატანილი დიდი ოდენობით კრედიტები, საუბრობდნენ 102 მილიონ რუბლსა თუ კუპონზე, რომელიც გატანისთანავე თურმე დოლარებზე გადაახურდავეს. ამის შემდეგ დაიწყო ჰიპერინფლაციური პროცესები, ამ „პატიოსანმა“ მსესხებელმა ვალი კი დააბრუნა, რაც რეალობაში დაახლოებით 200 აშშ დოლარს უტოლდებოდა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ჩვენ მრავალწლიანი ტოტალური ძალადობის შედეგად ფსიქიკურად დაინვალიდებული საზოგადოება ვართ...

გვესაუბრება უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, ბოლო დროს სატელევიზიო შოუები თუ საინფორმაციო გამოშვებები ძალადობის თემას ეძღვნება. ძალადობას, როგორც ფორმას შესანიშნავად იყენებს პრესაც, ტელევიზიაც. ყველა საინფორმაციო გამოშვება მკვლელობის ფაქტის გაშუქებით იწყება. ოჯახური ძალადობის გარდა სახეზე გვაქვს წინა ხელისუფლების დროს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაერთი ძალადობაც. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ პროცესებმა?

— თამარ, თქვენ ახლა ყოვლისმომცველი შეკითხვა დამისვით. ვფიქრობ, კითხვაზე პასუხი მთავარ, გამომწვევ მიზეზებზე აქცენტირებით უნდა დავიწყოთ. სამი კვირის წინ პატრიარქმა ქადაგებისას მედიას პირდაპირ მოუწოდა ნუ აშუქებენ ამდენ ძალადობას და საინფორმაციო საშუალებებს ნუ აგებენ სრულიად ნეგატივზე. ასეთი ტენდენცია საზოგადოებას, მის ფსიქიკას ძალიან მძიმე დაღს დაასვამს, რაც საბოლოო ჯამში, ძალადობით გამოვლინდება. ქადაგებიდან მალე-ვე კიდევ რამდენიმე მკვლელობა მოხდა. დღეს, სავალალო სტატისტიკა, ბოლო ერთი წლის მანძილზე, ოჯახური ძალადობის, დაახლოებით, 20 მსხვერპლს ითვლის. შეკითხვა ძალიან მართებულად დასვით. საქმე ისაა, რომ ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება უკუპროპორციული იყოს. გეტყვით, რას ვგულისხმობ — ოჯახი სახელმწიფოა, იგი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მთავარი უჯრედია. როდესაც ქვეყანაში პროგრესი არაა, არამედ პირიქით, სრული სტაგნაცია, უძრაობაა არა მარტო ეკონომიკის, არამედ სამართლის სფეროშიც, პირობა სამართლიანი სამართლებრივი გარემოს შესახებ კი აუსრულებელი რჩება, რაღაზე ვილაპარაკოთ. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს მართლაც ნონსენსია. ხელისუფლებამ როგორ უნდა გააგრძელოს ქვეყნის აღმშენებლობა, როცა ელემენტარული სამართლებრივი დაპირება არ შესრულდა, თუ არ გამოვლინდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც საზოგადოებას მრავალმილიარდიანი ზიანი მიაყენეს?! რეალურად, 9 წლიანმა მმართველობამ ზუსტად ისეთივე მსახვრალი ხელი დაატყო ქვეყანას, რაც თავის დროზე ცნობილმა დამპყრობლებმა თემურ-ლენგმა და სხვამ. შედეგად, მილიონ ნახევარი ადამიანი ქვეყნის გარეთ გაიქცა, 400 ათასი ადამიანი საკაშვილის მიერ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით იყო მსჯავრდებული. ციხეებში, მათ წარუშლელი კოშმარი გამოიარეს, ეს ფსიქიკური დაინვალიდების პირველწყარო იყო, რასაც უმრავლესობამ ვერ გაუძლო და მათ ქცევაზე შესაბამისი კვალი დატოვა. სწორედ ეს ანაბეჭდი ვლინდება, ხშირ შემთხვევაში, ძალადობაში. ამას ემატება ძალადობის პროპაგანდა, ადამიანების ტვინების ზომბირება ისეთი ნაციონალური ტელევიზიების საინფორმაციო წყაროების საშუალებით, რომლებიც ე.წ. რეიტინგებში მუდმივად პირველ ადგილზე არიან. პირველობას საიდანღაც მოსული დავალების პირნათლად შესრულება განაპირობებს — საზოგადოება მუდმივად დაძაბულობის ქვეშ უნდა ჰყავდეთ. ანუ, ხალხი იმ ნეგატივებით უნდა საზრდოობდეს, რაც ქვეყანაში ყოველდღიურად ხდება, არ უნდა გამორჩეთ არცერთი ნეგატიური ფაქტი, ყველაფერი მედიაში უნდა აისახოს და საზოგადოებამ უნდა იცოდეს რომ მათ სერიოზული პრობლემები აქვთ. როგორც ჩანს ასე ხდება ქვეყნის ძირითადი პროგრესის გამომწვევი ფაქტორების შეჩერება. ყველა ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის პროგრესს, განვითარებას და მოდერნიზაციას, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ძალიან ბანალურ ინსტრუმენტებში ვლინდება. პირველ რიგში, ესაა მედია. აბსოლუტურად გეთანხმებით, თქვენს მიერ დასმული შეკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ნეგატიური მედიის ანტიპოდი დღემდე ვერ შეიქმნა. გაოცებული ვარ, წესით, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საკუთარ თავზე უნდა იღებდეს სხვა ტელევიზიების საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმოებას. უნდა გადაიცემოდეს სამეცნიერო, შემეცნებითი, დოკუმენტური ქრონიკა, რაც დღეს საერთოდ ამოღებულია. ოთხ კერძო არხზე „საპნის ოპერები“ გადის. იმის ნაცვლად, რომ „პირველი არხი“ ამას აბალანსებდეს, მათ ტელესერიალების გაშვებაში ეჯიბრება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი პოზიციან-ოპოზიციანად გარედან მოხვეული დიდი პოლიტიკის კონიუნქტურის ტყვეობაშია.

— როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალადობის 9 წელიწადი გამოვიარეთ. ეს ყველაფერი იმიტომაც ხომ არ გვჭირს, რომ სამართლიანობის აღდგენას წინამორბედი ხელისუფლების დანაშაულიდან ვიწყებთ და არა უფრო შორიდან?

— რა თქმა უნდა. როდესაც ჩვენ სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენაზე ვსაუბრობთ, პირობითი რეფლექსის საფუძველზე არ უნდა გამოგვიმუშავდეს განცდა, თითქოს, მხოლოდ, 2004 წელს დანიშნულ პროკურორებს და მოსამართლეებს უნდა ვეცეთ. არა, ეს მხოლოდ ერთი, ძალიან ვიწრო სეგმენტია იმ მნიშვნელოვან გზაზე, რასაც ქვეყნის პოლიტიკური კეთილდღეობა და სტაბილურობა ჰქვია და რისი მიღწევაც მხოლოდ ისტორიული მეხსიერების იმ მომენტის აღდგენით იქნება შესაძლებელი, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ემყარება. ესაა 1991 წლის 9 აპრილი — 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები დეკლარაციაში აისახა და 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობა აღდგა. ეს ქართველი ერის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, რასაც სათავეში პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უდგას. ამ პერიოდის რა შეცდომებზეც არ უნდა აპელირებდნენ ოპონენტები, ფაქტი ფაქტად რჩება, თუმცა 1991 წლის მონაპოვარი, ჩვენივე მოქალაქეების მიერ, გარედან მართული პროცესების საფუძველზე დაიმსხვრა. თუკი ჩვენი თაობა, სამართლიანობის აღდგენის საკითხზე არ ვიზრუნებთ და 1991 წლის მოვლენებს სამართლებრივ შეფასებას არ მივცემთ, მომავალი თაობები კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდებიან. თუ სამართლიანობა არ იქნება, მშვიდობა არასოდეს იქნება. ქვეყანაში, სამართლის პური, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოცხვეს. დარწმუნებული ვარ, 2004 წელს, თებერვალში, სააკაშვილის მიერ შექმნილ 1991-93 წლების მოვლენების შემსწავლელ სახელმწიფო კომისისა რომ ემუშავა და რეალური სურათი დაედო, დღეს, ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის დღიდან ორი ხელისუფლება გამოვიცვალეთ და მესამეს ვეგუებით. ვხედავთ, რომ მათ ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, ყოველთვის, კითხვები გვრჩება, როგორც შევარდნაძესთან, ისე საკაშვილთან მიმართებით. თუ ისტორიული მეხსიერება არ აღდგა, ამ მთავრობასაც ზუსტად იგივე ელის, რაშიც შევარდნაძე და სააკაშვილი გადაეშვნენ. იმედი მქონდა, რომ ღარიბაშვილი ყველა ღონეს იხმარდა, რათა ქვეყანაში ეროვნული თანხმობა განმტკიცებულიყო. **არავის სისხლის დაღვრა და ციხეში ამოკლპობა არ გვინდა, არამედ, ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა გასამართლდეს არამხოლოდ სააკაშვილის რეჟიმი, არამედ შევარდნაძისაც.** რეჟიმების გასამართლების კონტექსტში, აუცილებლად, მივიღებდით მთავარ კითხვაზე პასუხს — შეგვიძლია თუ არა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა სწორედ იმ წყვეტილი წერტილიდან განვაგრძოდ, რასაც 1991 წლის 9 აპრილის მონაპოვარი ქჰვია?

9 აპრილი, 1989 წ.

— რა საფრთხის შემცველია 9 წლიანი რეჟიმის პერიოდში

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თბილისი, 1992 წ.

ძალადობაგამოვლილი ხალხი, რომელიც რეჟიმმა შვა. სადამდე შეიძლება მივიდეთ?

— კვლავ დავუბრუნდეთ იმ მნიშვნელოვან საკითხს, რაც საზოგადოებას ძალიან აღელვებს. ეს იმის სიმპტომია, რომ კაშხალში, სადღაც ნაპრალია და იგი შეიძლება მთლიანად გაინგრეს. ოჯახური ძალადობა ინდიკატორია იმისა, საზოგადოებაში, უკმაყოფილების დონეზე, რა დუღილის პროცესები მიმდინარეობს. ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ოჯახებში ვლინდება, ანუ წერტილოვნად, ხვალ შეიძლება ქუჩაში გადმოიღვაროს. გვაქვს მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი, სრული დაუცველობის განცდა. ეს განცდა, ქართველებს, თავს არ გვანებებს. ჩვენი საზღვრების 45% დემარკირებული არაა, მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავაც ტოვებს ქვეყნის ფარგლებს და ემიგრაციაში მიდის. მიზეზი, შიდა მოუწესრიგებელი კანონმდებლობა და პირველ რიგში, კონსტიტუციაა, რომელსაც 2004-დან 2010 წლამდე თავის ჭკუაზე ჭრიდნენ და კერავდნენ, მასში 21 ცვლილება შევიდა, 2010 წლისთვის კონსტიტუციის რეფორმირება მოხდა. დღეს კვლავ რეფორმირებაზეა საუბარი და ამის მერე დღის წესრიგში დგება სრულიად ახალი რედაქციის კონსტიტუციაზე მუშაობის დაწყება. ანუ ეს, არასტაბილურობის განცდის კიდევ ერთი ძალიან სერიოზული ფაქტორია. ამ წლების მანძილზე რეპრესიული მანქანის სავიზიტო ბარათი იყო ის, რომ მუდმივად საკანონმდებლო ბაზას რევდნენ, რათა საზოგადოება ვერ დაწეოდა იმ ცვლილებებს, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ კონვეინერული სისტემით ახვევდა თავს, რაც ჩვენი სამოქალაქო უფლებების მუდმივ შეზღუდვაში ვლინდებოდა. პროცესი დღესაც გრძელდება. აუცილებელი არაა ციხეებში ვიღაცას ცოცხებს უკეთებდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. წამების ტოლფასია ისიც, როდესაც საკანონმდებლო ბაზა ქვეყნის განვითარებას ვერ ერგება. საგარეო საფრთხეები, ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები, სამართლიანობის დაუმყარებლობა — ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, აბსოლუტურ ნიჰილიზმში ვლინდება, საზოგადოებაში სრული პროსტრაცია სუფევს. რა თქმა უნდა, ის ადამიანები ვინც ძალადობენ, მათ შორის, საკუთარ ცოლებზე, ტიპიური წარმომადგენლები არიან ამ ნიჰილიზმში მყოფი საზოგადოების წევრებისა, რომლებიც დღეს ძალადობენ ცოლებზე და ხვალ შეიძლება უფრო მასშტაბური კატასტროფის შემოქმედნი გახდნენ.

— ანუ ნაპრალი ღრმავდება?

— დიახ, ნაპრალი უკვე გაღრმავდა, რაც საბოლოო ჯამში, კაშხლის გამონგრევას გამოიწვევს. რა ფორმებით, რა მეტასტაზებით გამოვლინდება, ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ ქვეყანაში ნეგატივი პროგრესირებს.

— რა ხდება მაშინ, როცა ვერც ხალხი და ვერც სახელმწიფო სამართალს ვერ ამყარებენ?

— საზოგადოება ბრძენია, მან კარგად იცის, რომ იმ ტოტზე ზის, რომელსაც „ქართული ოცნება“ წარმოადგენს. თუ „ქართულ ოცნებას“ ღიად და უკომპრომისოდ შეუტევს, მაშინ მან ალტერნატივაზეც უნდა იფიქროს. საზოგადოება აცნობიერებს, რომ არსებობს საფრთხე „ნაცმოძრაობამ“ სახელისუფლებო სადავეები დაიპყროს. რაც შეეხება პროცესების განვითარდებას — როგორც ბალახი გლეჯს ასფალტს და ამოდის, ასეა ამ შემთხვევაში, უკვალოდ არაფერი იკარგება. არც ის ნეგატიური ენერგია დაიკარგება უკვალოდ, რომელიც საზოგადოებაში ნიჰილიზმიდან გამომდინარე ვლინდება და ადრე თუ გვიან აუცილებლად შეიქმნება მძლავრი საპირწონე კონგლომერატი, როგორც „ქართული ოცნებისა“, ისე იმ დამწაშავე სინდიკატისა, რომელმაც წლების მანძილზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა. მას პოლიტიკურ ორგანიზაციად ვერ განვიხილავ. როდესაც ამბობენ, რომ შეიძლება „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ საზოგადოებაში დასაყრდენი უნდა ჰყავდეთ. თუ მათ ეს დასაყრდენი მართლაც ჰყავთ, მაშინ ჩვენ დაავადებული ერი კი არა, არამედ მკვდარი ერი ვყოფილვართ.

26 მაისი, 2011 წ.

7 ნოემბერი, 2007 წ.

7 ნოემბერი, 2007 წ. - „იმედის“ დარბევა

— პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ მთავრობებმა მოახერხეს საქართველოს კანონმდებლობიდან დემოკრატიის ელემენტები გაექროთ? ვგულისხმობ, რეფერენდუმებს, სახალხო გამოკითხვებს და ა.შ.

— დიახ, რა თქმა უნდა. ეს აღარ ხდება იმიტომ, რომ რეფერენდუმების წარმოების პროცედურები გართულებულია. მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, საერთოდ, რეფერენდუმი აკრძალულიცაა და, რაც ყველაზე მთავარია, ამ მიმართულებით, თავად საზოგადოების აქტივობაც არაა ძლიერი. მაშინ, როდესაც დასავლურ დემოკრატიებში საკითხების უმრავლესობა რეფერენდუმების საფუძველზე წყდება. ამის ნათელი დადასტურებაა შვეიცარია, სადაც მუსლიმური თემის საკულტო ნაგებობის მინარეთის საკითხი რეფერენდუმზე გამოიტანეს და რეგულირება ამის საფუძველზე მოხდა. ეს საკითხი აქ რომ დააყენო, საქართველოს, უკლებლივ ყველა ის არასამთავრობო ორგანიზაცია დაასმენს, რომელიც უცხო ქვეყნის გადასახადის გადამხდელის ჯიბიდან მრავალმილიონიან გრანტს იღებს და ტოლერანტობაზე კი არა რელიგიურ შეუწყნარებლობაზე წავა საუბარი. მაშინ, როცა განვითარებულ დემოკრატიებში, ეს და ბევრი სხვა საკითხი, ძალიან ცივილურ დონეზე წყდება.აასე, რომ ჩვენ, სამართლებრივ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ. სამართლებრივი სწორედ იმ ინსტიტუციების განვითარების და პროგრესის საფუძველზე ჩამოყალიბებული ქვეყანაა, რომელსაც დასავლეთი, ჩვენგან, ასე უშედეგოდ ითხოვს. ანუ ჩვენგან ქვეყნის ინსტიტუციურ განვითარებას ითხოვენ და, ამ დროს, მათ მიერვე ჩანერგილი არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად, ქვეყანაში არსებულ ფუნდამენტალურ ნაკლოვანებებზე მიუთითებენ. ფაქტობრივად, ქვეყნის განვითარებას არანაირ გასაქანს არ აძლევენ. ჩვენ, საკუთარი მოქალაქეების მხრიდან, მუდმივად დასმენის ქვეშ ვართ, რასაც სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ვუწოდებ. არ მესმის, რა არის მიუღებელი იმაში, რომ უცხო ქვეყნის გადასახადის გადამხდელის მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია ამ უცხო ქვეყნის აგენტად იწოდებოდეს.

— გავიხსენოთ, რა მოხდა გამსახურდიას დროს. მაშინ, ხალხი კი არ ავჯანყებულა, არამედ კიტოვანის 200 კაციანი გვარდია, რომელმაც საქართველო დაამარცხა. როცა ახლო წარსული სახეზე გვაქვს, ასე გულარხეინობის საფუძველი გვაქვს?

— ძალიან კარგი კითხვაა. სანამ ამაზე გიპასუხებთ, მინდა, ერთი მაგალითი გავიხსენო, რაც „ნაცმოძრაობის“ ბოლოდროინდელ ხელწერასთანაა კავშირში, რაც ძალადობის, ესკალაციის პროცესისთვის ხელისშეწყობაა. ვგულისხმობ, ზაზა დავითაიაზე განმეორებითი თავდასხმის ფაქტს. დააკავეს აგრესიის ავტორი ავთანდილ კემულარია, „თავისუფალი ზონის“ რუსთავის ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი. პირველ შემთხვევაზე კი ჭკადუა და გოგოხია დააკავეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთი და მეორე შემთხვევაშიც „ნაცმოძრაობის“ მიერ დაფუძნებული „თავისუფალი ზონის“ წევრები დაუფარავად ახორციელებდნენ ტერორს, რომელთა ასაკი 18-დან 21 წლამდეა. ანუ ეს ახალგაზრდები იდეოლოგიურად მოწამლულნი არიან და ღრმა შეცდომაში შეყვანილი ისეთი ვაიპოლიტიკოსებისგან, როგორებიცაა კობა ხაბაზი (იგი ცხოვრების მიზნად ისახავდა ჩეგევარა ყოფილიყო, მაგრამ მისგან მხოლოდ ლუი დე ფიუნესის კომიკური პერსონაჟი შედგა) და მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხან აღმოსავლეთ, ხან დასავლეთ საქართველოს კარიბჭესთან ატარებს შეხვედრებს, იბარებს „ნაციონალებს“, ასევე, სოკოსავით აღმოცენებულ არასმთავრობო ორგანიზაციის მესვეურებს და პირდაპირ დირექტივას იძლევა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან სერიოზული დაფინანსების ფონზე ხორციელდება. თუ სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენაზე ვსაუბრობთ, ეს პირები პასუხისგებაში უნდა მიცემოდნენ არამხოლოდ პოსტ-ფაქტუმ, არამედ იმ პერიოდში, სანამ ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდნენ. მაგალითად, ადეიშვილი, კუდის მაღალჩინოსნები, რომელთაც ქვეყნიდან ძალიან დიდ თანხებთან ერთად გააღწიეს. დღეს, სწორედ ეს თანხები უქმნის საფრთხეს ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას. თავში ცემა გვიანღაა. სწორედ ეს თანხები ტრიალებს ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის. ჭიკაიძის და ღარიბაშვილის განცხადებები ვიღაცამ შეიძლება ნახევრად ხუმრობად, ნახევრად სერიოზულად მიიღო, მაგრამ ფაქტია, როდესაც უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, მას გარკვეული საფუძველი გააჩნია. ასეთი განცხადება არის პრევენცია, დაზღვევა იმისა, რაც შეიძლება მომავალში, ქვეყნის წინააღმდეგ, კიდევ უფრო დიდი სიმძაფრით წარმოჩინდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მსოფლიო ჯრჟასის მიხედვით

უკრაინის არჩევნებმა დააკანონა „რევოლუცია“ და გააღრმავა განხეთქილება

უკრაინაში გამართული ვადამდელი არჩევნები და მისი წინასწარი შედეგები – პროდასავლური ძალების წარმატება მსოფლიო გამოცემების ყურადღების ცენტრშია. უკრაინელებმა „პრაქტიკულად დააკანონეს წლის დასაწყისში მომხდარი გადატრიალება“, – წერენ მიმომხილველები. ახლა „რუსეთს აღარ შეეძლება კიევის ხელისუფლება ხუნტად მოიხსენიოს“, მაგრამ უფრო რთული იქნება ბრძოლისთვის მზადმყოფი აღმოსავლეთის დარწმუნება, რომ კიევისთვის მათი ინტერესებიც მნიშვნელოვანია.

T: „თავდაპირველად კარგი ამბავი: მემარჯვენე ექსტრემისტ ოლეგ ლიაშკოს „რადიკალურმა პარტიამ“ იმის ნახევარიც ვერ მიიღო, რასაც რადას არჩევნებამდე უწინასწარმეტყველებდნენ. უკრაინელმა ამომრჩეველმა ხმა მისცა პრემიერისა და პრეზიდენტის პარტიებს, ანუ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მაიდნის რევოლუციიდან მოყოლებული ხელისუფლებაში არიან. ამით ხალხმა „პრაქტიკულად დააკანონა წლის დასაწყისში მომხდარი გადატრიალება“ და ახლა „რუსეთი, რომელიც კიევის ხელისუფლებას ხუნტას უწოდებს, ამ ფაქტს ვერ უგულებელყოფს“.

ამასთანავე, პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ამომრჩეველთა იმაზე ბევრად ნაკლებ ხმას იღებს, ვიდრე მოსალოდნელი იყო – 25 პროცენტზე ნაკლებს. ეს იმას ადასტურებს, რომ ხალხის ნდობა მნიშვნელოვნად დაკარგა.

სამაგიეროდ კარგი შედეგები მიიღო პრემიერ-მინისტრ იაცენიუკის პარტიამ, რომელიც პოროშენკოსთვის ერთდროულად კოალიციის სასარგებლო პარტნიორიც არის და უხერხულიც. წინასაარჩევნო კამპანიის დროს იაცენიუკი, ისევე როგორც რადიკალი ნაციონალისტები (რომლებსაც რადაში ორი პარტია ეყოლებათ), მოსკოვთან და პროროუს სეპარატისტებთან მკაცრი პოლიტიკური კურსის გატარებას უჭერდა მხარს. ამიერიდან პოროშენკოს მოუწევს ანგარიში გაუწიოს მათ მოთხოვნებს.

T: „პროდასავლურმა პარტიებმა უკრაინის პარლამენტის ძირითადი უმრავლესობა მოიპოვეს“, – ასეთი განცხადება გააკეთა არჩევნების დღეს პეტრე პოროშენკომ ეგზიტ-პოლების შედეგებზე დაყრდნობით.

„ქვეყანა ჯერ კიდევ ებრძვის რუს სეპარატისტებს აღმოსავლეთში. ამის ფონზე, პოროშენკო მიესალმა ამომრჩეველთა მკაფიო პოზიციას, მხარი დაუჭიროს თავისი ქვეყნის ხელისუფლების მცდელობას, როგორმე თავი დააღწიონ კრემლს და ნაბიჯი გადადგან ევროპისკენ“, – წერს გამოცემის მიმომხილველი დეიდ ჰერშენჰორნი.

„პროდასავლური პარტიების გავლენის გაძლიერებას, რასაკვირველია, მოიწონებენ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ევროპელი მოკავშირეები“, – წერს მიმომხილველი და იმასაც აღნიშნავს, რომ ამერიკასაც და ევროკავშირსაც „სურთ შეწყდეს კონტინენტზე უსასტიკესი სისხლისღვრა, რომელიც 1990-იან წლებში ბალკანეთის ომებით დაიწყო, მოგვარდეს „ცივი ომის“ შემდგომი ყველაზე სახიფათო კონფლიქტი დასავლეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ ეს ისევე იქნება დამოკიდებული პუტინზე, როგორც პოროშენკოზე“.

ამასთან, „პროდასავლურად განწყობილმა უმრავლესობამ შესაძლოა პრობლემა შეუქმნას პოროშენკოს მცდელობას, დაარწმუნოს მეომარი აღმოსავლეთი, რომ კიევისთვის მათი ინტერესებიც პრიორიტეტულია“, – წერს გაზეთი.

რადაში მოხვდება კიდევ ერთი პარტია – „ოპოზიციური ბლოკი“, რომლის შემადგენლობაშიც არიან ვიქტორ იანუკოვიჩის ყოფილი მომხრეები. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ აღმოსავლეთ უკრაიანაში. ამ პარტიას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს პუტინთან კონფლიქტის მოსაგვარებლად გამართულ მოლაპარაკებებში.

„ოპოზიციურ ბლოკს“ სათავეში უდგას ყოფილი ვიცე-პრემიერი და იანუკოვიჩის მთავრობის ენერგეტიკის მინისტრი იური ბოიკო. 2002-2005 წლებში იგი „ნაფტოგაზსაც“ ხელმძღვანელობდა, რამაც რუსეთთან საქმიანი კონტაქტები შესძინა.

ამ ბლოკს „მხარდაჭერა გამოუცხადა და დახმარება აღმოუჩინა უკრაინის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ბიზნესმენმა და პოროშენკოს ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა სერგეი ლევოჩკინმა.

T: „უკრაინის საპარლამენტო არჩევნები ნაციონალურ განხეთქილებას ვერ გადალახავს“ – ასეა დასათაურებული ჟურნალის წერილი, რომლის ავტორია საიმონ შუსტერი.

„მას შემდეგ, რაც რევოლუციის შედეგად ის პოლიტიკოსები გადააყენეს, რომლებსაც მოსკოვი მხარს უჭერდა, ქვეყნის პოლიტიკური დისკურსი ერთგვარ სისხლიან ხელობად გადაიქცა, რუსეთის ჯარის უკრაინაში შეჭრამ კი უკრაინის პოლიტიკურ სცენაზე რადიკალური განწყობილებები გაამძაფრა“. უკრაინაში დარჩენილი იანუკოვიჩის მომხრეები არაერთხელ დაიჭირეს და სეპარატიზმში დასდეს ბრალი, ლინჩით გასამართლების მომხრეთა ბრბო მათ თავს ესხმოდა ქუჩებში, სცემდნენ ან ნაგვის კონტეინერებში ყრიდნენ.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, პოროშენკომ უკრაინელი ხალხისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ „სამშვიდობო პროცესს გამუდმებით უტევენ „ურაპატრიოტები“. ირიბად მიანიშნა ისეთ ნაციონალურ ჯგუფზე, როგორიც „რადიკალური პარტია“ და მისი ღრიალა ლიდერი ოლეგ ლიაშკოა.

ბატალიონ „აზოვის“ მეთაურმა, ულტრანაციონალისტმა ანდრეი ბელეცკიმ მოუწოდა უკრაინელებს, უარი თქვან დაზავებაზე და მტკიცედ გააგრძელონ ტოტალური ომი. „რუსეთთან მოლაპარაკებებს სუსტის პოზიციიდან ვაწარმოებთ“, – განუცხადა მან კიევში ჩასულ ჟურნალის კორესპონდენტს.

„წლების მანძილზე ქვეყნის საარჩევნო რუკა დაახლოებით შუაზეა გახეული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული განხეთქილების გამო. ამასთანავე, უკრაინელი საზოგადოების ორივე ნაწილი პარლამენტში ფართოდ იყო წარმოდგენილი. ეს ბალანსი მარტში დაირღვა, როცა რუსეთმა ყირიმი მიიტაცა. მაისში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით, ყირიმის ანექსიიდან გასული ორი თვის განმავლობაში გამოკითხულთა 76 პროცენტი ნეგატიურად აფასებს პუტინს, ერთი წლით ადრე ეს მაჩვენებელი 40 პროცენტი იყო.

გამონაკლისი დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული ოლქებია. „აღმოსავლეთ უკრაინას მოწყვეტილი ეს რეგიონები, სადაც 45-მილიონიანი ქვეყნის 10 პროცენტი ცხოვრობს, საარჩევნო პროცესს გამოეთიშნენ. ოლქები, რომლებსაც სეპარატისტები აკონტროლებენ, თავიანთ არჩევნებს ნოემბერში ჩაატარებენ და ამით ოფიციალურად დაადასტურებენ დანარჩენი ქვეყნისგან გამოცალკევებას.

კიევის ხელისუფლებისთვის არც ისე ცუდია, აღმოსავლეთმა არჩევნებში მონაწილეობა რომ არ მიიღო: მილიონობით პროროუსი ამომრჩევლის არყოფნა იმის გარანტიაა, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება, აგრეთვე ნაციონალისტური პარტიები მიიღებენ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას, „ოპოზიციურ ბლოკს“ კი საეჭვოა პარლამენტში ადგილები ერგოს. საბოლოოდ, ერში განხეთქილება მაინც ვერ დაიძლევა. „იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკურ დისკუსიას ცივილიზებული ელფერი შესძინონ, აღმოსავლეთ უკრაინის გამო წარმოქმნილი კონფლიქტი განუყრელად დაუკავშირდება ცეცხლსასროლ იარაღს და ნაგვის კონტეინერებს“, – ასკვნის ავტორი.

მსოფლიო სახიფათო მიჯნასთან

სოჭში, სადისკუსიო კლუბში ვლადიმირ პუტინს თავისი მმართველობის 15 წლის მანძილზე ყველაზე ანტიამერიკული და აგრესიული გამოსვლა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოსვლის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, პუტინიცა და მისი სიტყვაც პოლიტოლოგებისა და უცხოური გამოცემების განხილვის თემად რჩება.

„პუტინს ელიტისა და მოსახლეობის დასარაზმად სჭირდება გარეშე მტერი. ამაში იგი გაწაფულია“, – ამბობს მარშალის ფონდის გერმანელი ექსპერტი იორგ ფორბრიგი.

„რუსეთი პუტინის ხელმძღვანელობით გეოპოლიტიკურ კონტრშეტევაზე გადავიდა, – აცხადებს რუსი სამხედრო ექსპერტი ლეონიდ ივაშოვი. – აქამდე ჩვენ, სამხედრო ენით თუ ვიტყვით, ვიგერიებდით, ახლა კი ვუტევთ. მსოფლიო დიდი ხანია ელის ასეთ მოქმედებას, ელოდება უსაფრთხოებისა და მსოფლიო მოწყობის რუსულ დოგმას“.

„ცივი ომის“ შედეგები არანაირი სამშვიდობო ხელშეკრულებით არ გაფორმებულა, ამიტომაც დადგა დღის წესრიგში ახალი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების დადება მოქმედი ორგანიზაციების – გაეროს, ეუთოს ჩარჩოებში. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატები, მაინც ერთი ქვეყანაა და მას მსოფლიო პრობლემების მოგვარება არ შეუძლია“, – აცხადებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდის დირექტორი კონსტანტინ კოსტინი.

სხვა ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ პუტინს ახალი არაფერი უთქვამს არც დასავლეთისთვის და არც რუსეთისთვის. „დასავლეთი დაღალა ამგვარმა რიტორიკამ, – აღნიშნავს ალექსეი მალაშენკო. – თვალი გადავავლოთ ციფრებს, შეხედეთ, რა დღეშია ეკონომიკა, ენერგეტიკა, ჩინეთს ხომ ფეხქვეშ გავეგეთ... ეს ყველაფერი საკმარისია, რომ გავიაზროთ, რა ფასი აქვს ამ გამოსვლას და საით მივექანებით“.

„მართვადი ქაოსის თეორიამ, რომლითაც ამერიკა საერთაშორისო პოლიტიკას წარმართავს, კიდევ ერთხელ დაამტკიცა – ისეთი დიდი სახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკაა, უძლურია მართოს ქაოსი, – აცხადებს პოლ კრეიგ რობერტსი. – სწორედ ამერიკაა დამნაშავე იმაში, რომ ათწლეულების განმავლობაში არსებული მსოფლიო წესრიგი დაირღვა. ამის მოსმენა, რასაკვირველია, ამერიკელებს არ სურთ. თუ ამერიკაში დემოკრატიაა – ეს არის ყველაზე შეუმდგარი დემოკრატია მსოფლიო ისტორიაში“.

Financial Times: პუტინის გამოსვლა, 2007 წელს მიუნხენში გაკეთებულ განცხადებასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში. 2007 წელს მან ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების შექმნაში დაადანაშაულა. გამოსვლის ტონალობამ პრეზიდენტის მომხრეებიც კი გააოცა, რომ არაფერი ვთქვათ უცხოელ კომენტატორებზე. ამის მაგალითად გამოცემას მოჰყავს ბილ კლინტონის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის ტობი გალის კომენტარი: „რუსეთის პრეზიდენტის მიერ აღწერილ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვერ ვიპოვე სინამდვილეში არსებული ამერიკა“.

პოლიტოლოგების აზრით, ამერიკის ასეთი „მკვახე“ კრიტიკა უკავშირდება ბარაქ ობამას გამოსვლას გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, როცა რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხე ებოლას ციებცხელების შემდგომ ყველაზე მნიშვნელონად შეაფასა.

სოჭის სადისკუსიო კლუბ „ვალდაიში“ პუტინმა საერთაშორისო არენაზე ამერიკის პოლიტიკა უცებ გამდიდრებულ მდაბიოთა საქციელს შეადარა, „რომლებსაც თავზე დაემხოთ უზარმაზარი სიმდიდრე: მსოფლიო ლიდერობა“. მისივე განცხადებით, შეერთებულმა შტატებმა „თავი ცივ ომში გამარჯვებულად გამოაცხადა“ და მსოფლიოში არსებული დისბალანსი გააღრმავა.

პუტინი ეწინააღმდეგება იმას, რომ ამერიკას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდეს მსოფლიოში, რადგან „ცალმხრივი დიქტატი და თავისი შაბლონების თავს მოხვევა“ საპირისპირო შედეგს იძლევა.

Washington Post: პუტინი ისევ მიუბრუნდა თავის საყვარელ თემას – ამერიკის პოლიტიკური სისტემის კრიტიკას. მან განმარტა, რომ რუსეთში პრეზიდენტს ხალხი ირჩევს, ამერიკაში კი – ამომრჩევი. ბოლო წლებში პუტინი ამ საკითხზე ხშირად ლაპარაკობს და ყოველ ჯერზე ამერიკის პოლიტიკური სისტემა მისი თვალთახედვით სულ უფრო დაბლა ეშვება. ვაშინგტონში მდებარე ორგანიზაცია **Eurasia Group**-ის ხელმძღვანელი კლიფ კუპჩანი პირადად ესწრებოდა პუტინის გამოსვლას, რომლის შემდეგაც აღიარა: „მსოფლიო ისეთ სახიფათო მიჯნას მიადგა, როცა ურთიერთუნდობლობა სულ უფრო და უფრო ამძაფრებს ემოციურ ფაქტორს პოლიტიკაში“. პოლიტოლოგმა მოკლედ ასე ჩამოაყალიბა რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა: „თავი დამანებეთ. არ მსურს, ებოლას გვერდით გვაყენებდნენ და რაღაც სანქციებს გვიწესებდნენ“.

Guardian: რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლაში სიახლე არ ყოფილა – ადრე გამოთქმული ყველა განცხადება ერთ გამოსვლაში იყო კონცენტრირებული. ფორუმზე დისკუსია არ გამართულა, რადგან ეს არც არავის სურდა. ბრიტანელმა რეპორტიორმა პუტინს უკრაინაში მყოფ რუს სამხედროებზე კომენტარი სთხოვა. შეკითხვაზე, რასაკვირველია, პასუხი ვერ მიიღო.

კიდევ ერთხელ „ინჟმშენის“ მარტვილობის შესახებ

„ინჟმშენის“ წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების შედეგები, როგორც ამ ორგანიზაციაში იუწყებიან, უკვე ორი წელიწადია ვერ აღმოიფხვრა და ორგანიზაცია, რომელიც წლების განმავლობაში ასაქმებდა რამდენიმე ასეულ მუშაკს და ერთ-ერთი ლიდერი იყო მშენებლობის დარგში, უმძიმეს მდგომარეობაშია.

„ინჟმშენში“ აცხადებენ, რომ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის უნივერსიტეტის მაშინდელი და დღევანდელი რექტორი კახა შენგელია და საქართველოს ინფრასტრუქტურის მაშინდელი მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, რომელთაც საქართველოს ყოფილი პროკურორის ადეიშვილის ხელმძღვანელობით გეგმაზომიერად გაანადგურეს ორგანიზაცია და გზა გაუსნეს სხვა თავის მიერ ხელდასმულ ფირმებს, რათა კონკურენტის გარეშე შეძლებოდათ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების დანაშაულებრივად განკარგვა.

ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ჩვენ კვლავ მივმართეთ ს/ს „ინჟმშენის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკო შარაბიძეს.

კახა შენგელია

რამაზ ნიკოლაიშვილი

— ბატონო ნიკო, წინა ინტერვიუში თქვენ შეეხეთ წყალტუბოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობის თემას. უფრო დაწვრილებით მოგვიყვით ამის შესახებ.

— წყალტუბოში ლტოლვილთა 10 კორპუსის მშენებლობა 2010 წლის მარტის თვეში დაიწყო. ამ ობიექტის მშენებლობის ვადა კონტრაქტით განსაზღვრული იყო 18 თვის განმავლობაში, ე. ი. უნდა დამთავრებულიყო 2011 წლის ოქტომბერში. ვინაიდან დამკვეთის — „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ („მგფ“) მიერ დროულად არ იქნა გადაწყვეტილი სამშენებლო მოედნის კომუნიკაციებისგან გათავისუფლების საკითხი, პროექტი იყო უხარისხო — სახლები დასმული იყო დაჭაობებულ ტერიტორიაზე, არ იყო გათვალისწინებული სრულფასოვანი დრენაჟის მოწყობის სამუშაოები, არ იყო შესწავლილი ტერიტორიის გეოლოგია — სამუშაოების მთელი ფრონტით გახსნა ვერ მოხერხდა 2010 წლის ბოლომდე ე. ი. დამკვეთის მიზეზით მშენებლობა სრულფასოვნად ვერ განხორციელდა 2011 წლის დასაწყისამდე. ასევე უნდა ითქვას, რომ 2010 წ. სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით მე ვიმყოფებოდი საპატიმროში. მიუხედავად ამისა, რეგულარულად ვაყენებდით ვადების გაგრძელების საკითხს, რაც სიტყვიერად შეთანხმებული გვქონდა კიდეც „მგფ“-სთან. სიტუაცია შეიცვალა, როდესაც მინისტრად დაინიშნა რამაზ ნიკოლაიშვილი, რომელმაც უძლიერესი ზეწოლა განახორციელა ჩემზე მაშინ ახალი განთავისუფლებული ვიყავი საპყრობილედან. ნიკოლაიშვილი მთხოვდა, ობიექტი დაგვემთავრებინა 18 თვის ნაცვლად 10-11 თვეში. საქმე გართულდა აგრეთვე იმ გარემოების გამო, რომ „ნაცისტებმა“ გადაწყვიტეს ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენება, და როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, სურდათ ლტოლვილების მიერ გამოთავისუფლებულ სანატორიუმ „მერცხლებში“ შემკეთების შემდეგ პარლამენტარების საცხოვრებელი მოეწყოთ. ვინაიდან გიორგოთი ვიყავი გათავისუფლებული 1 000 000 ლარის სანაცვლოდ და ამ თანხას ვერ ვიხდიდი ვერც 3 თვეში და ვერც 3 წელიწადში. რამაზ ნიკოლაიშვილი და ზურაბ ადეიშვილი, რომლებიც თვეში ერთხელ მაინც ჩამოდიოდნენ ობიექტებზე, კვლავ დაპატიმრებით მემუქრებოდნენ. იძულებული ვიყავი, ყოველგვარი ზედმეტი ხარჯების მიუხედავად მეწარმოებინა მშენებლობა. ნიკოლაიშვილის დავალებით, „მგფ“-ს ხელმძღვანელობა მავალებდა თანხების სხვა ობიექტებიდან გადმოსროლას, რის შედეგადაც ეს ობიექტებიც კოტრდებოდა და საბოლოოდ, როცა 2011წ. სეტემბერში მთლიანად დამთავრდა 10-დან 6 სახლი, გაკეთდა კანალიზაცია, წყალსადენი, ელმომარაგება და სხვა, ოთხ სახლში დაწყებული იყო მოპირკეთების სამუშაოები. ჩვენ ობიექტიდან გაგვაძევეს და შემოიყვანეს უსახელო, მაგრამ, სავარაუდოდ, თავისი ორგანიზაცია, რომელსაც ვადებიც გაუგრძელეს და მშენებლობაც დაამთავრებინეს. მაგრამ წუნის გამოსწორება დაგვავალეს ჩვენ, მაშინ, როდესაც უკვე არავითარი სახსარი აღარ გვქონდა.

დღესაც ეს საკითხი „მგფ“-ს მიერ არ არის გადაწყვეტილი და გვაჯარიმებენ ჩვენ და არა რეალურად დამნაშავე პირებს.

აი, მოკლედ ასეთი იყო წყალტუბოს ეპიზოდი, რომელშიც მთავარი დამნაშავე პირები იყვნენ ნაციონალების ყურმოჭრილი მონა რამაზ ნიკოლაიშვილი და ზურაბ ადეიშვილი.

ენერგეტიკის სამინისტროს დაკვეთით 2002-2007 წწ. ვაწარმოებდით ასევე თბილისის გაზსადენების რეანიმაციის და შემდეგ კანარგოს ჭაბურღილებიდან მიღებული თანმდევი გაზსადენის რეანიმაციის სამუშაოებს.

თბილისის გაზსადენების რეანიმაციის სამუშაოები ჩატარდა მაღალ ტექნიკურ დონეზე, ჩვენ მიერ საქართველოში პირველად, თურქეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი იქნა პლასტმასის მაღალი წნევის მილები, ჩამოვიყვანეთ სპეციალისტები, ჩამოვიტანეთ სათანადო დანადგარები, შევასწავლეთ ჩვენს პერსონალს ახალი ტექნოლოგიები. სამუშაოები შესრულდა განსაზღვრულ ვადებში. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობამ თანხები მთლიანად არ გადაიხადა. აღნიშნული თანხა დაკარგული იყო, ამიტომ სასამართლოს მივმართეთ. როგორ საკვირველადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, თანხის გადახდა ენერგეტიკის სამინისტროს დააკისრა საალსრულებლო ბიუროს მეშვეობით. მაგრამ აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა ნაცისტების სახე — 5 წლის განმავლობაში გადაგვიხადეს 370 000 ლარი, საიდანაც 25% ე. ი. 92 000 ლარი უკან მიგვატანინეს, ხოლო დანარჩენ 430 000 ლარზე გამომიძახეს ფინანსურ პოლიციაში და დაჭერის მუქარის ქვეშ მათქმევინეს წერილობითი უარი.

— ბატონო ნიკო, როგორც ვიცი, თქვენ ენერგეტიკის სამინისტროსთანაც გქონდათ გარკვეული პრობლემები.

— როგორც ცნობილია, საქართველოში კანარგოს ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოღების პროცესს ე. წ. თანმდევი გაზის გამოყოფა ახლავს, რომელსაც სახელმწიფო იყენებდა რესპუბლიკის გაზის საერთო ბალანსის შესავსებად. გაზის რაოდენობა, ჩემი მონაცემებით, შეადგენდა დღე-ღამეში 1 000 000 კუბ/მ-დან 300 000 კუბ/მ-მდე, ზოგ შემთხვევაში ეს რაოდენობა მცირდებოდა და ზოგჯერ უმნიშვნელოდ იმატებდა.

რეანიმაციის სამუშაოებზე გამოცხადდა ტენდერი, სადაც ს/ს „ინჟმშენმა“ გაიმარჯვა. შესაბამისად, გადმოგვერიცხა ავანსი და სამუშაოები დაიწყო დაჩქარებული ტემპით. ვინაიდან გაზსადენის რეანიმაციის პროექტი ზოგ შემთხვევაში ვერ იყო მთლიანად დაზუსტებული, ენერგეტიკის სამინისტროს დავალებით, ათივე საპროექტო ორგანიზაცია აწარმოებდა პროექტის კორექტირებას ზოგს ჩვენი მიმართვის შემდეგ, ზოგსაც თავისი ინიციატივით, რაც მტკიცდებოდა ენერგეტიკის სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შესაბამისი ოქმებით. ამ გზით გაკეთდა ახალი პროექტი და საწყისი ღირებულების 1 800 000 ლარის ნაცვლად ღირებულებამ შეადგინა 1 400 000 ლ. ე. ი. მიღებული იქნა ეკონომია დაახლოებით 400 000 ლ. სამუშაოები დამთავრდა, გაზსადენი გამოიცადა, რაზეც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია. მაგრამ მაშინდელმა ენერგეტიკის მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა უარი განაცხადა ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებაზე და ჩვენი არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, შეხვედრაზე განგვიცხადა, რომ მას ეს გაზი არ სჭირდებოდა, ამიტომ თანხასაც არ გადაიხდიდა. არადა, ეს გაზი ღირდა თითქმის 4-ჯერ ნაკლები იმაზე, ვიდრე გარედან შემოტანილი იმპორტირებული გაზი.

ეს საკითხი განხილული იქნა საქართველოს პროკურატურაში. გვირჩიეს, რომ დაგვწერა საჩივარი გენერალური პროკურორის სახელზე, მაგრამ მოხდა საოცრება — გილაური პრემიერ-მინისტრად გადაიყვანეს და პროკურატურიდანაც შეგვატყობინეს, რომ გაგვეტანა საჩივარი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებით დაგვემუქრნენ. საჩივარი გამოვიტანეთ და მიღებული ავანსიც უკან დავაბრუნეთ...

თუმცა აქაც მოხდა „სასწაული“ — ენერგეტიკის სამინისტრომ გვიჩივლა სასამართლოში კონტრაქტის შეუსრულებლობის გამო. ჩვენ ვუპასუხეთ შეგებებული სარჩელით, ჩვენი ფირმის ადვოკატი მაშინ ბატონი არჩილ კბილაშვილი გახლდათ. შეგებებული სარჩელი მოვიგეთ და ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდა, რის შემდეგაც ისევ პროკურატურის ზეწოლით და დაპატიმრების მუქარით სარჩელი ისევ გამოგვატანინეს.

აი, ასეთი მეთოდებით მუშაობდა „ნაცისტების“ ე. წ. მთავრობა. მოსაყოლი კიდევ ბევრია, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

ირანდა კალანდაძე

რეგიონული პოსტგანმანათლებლობის თვითჩაფლულობა

ამბავი, რაც ახლა უნდა მოგიყვეთ, იმდენად ანტითეზურია, რომ მკითხველს შეეპარება ეჭვი: ნუთუ განათლების სისტემის რეგიონულ „კორიფეებს“ შეეძლოთ გადაედგათ მსგავსი ნაბიჯი? ქვემოთ მოთხრობილი თავგადასახადის გაგებაში ხელი რომ შეგიწყოთ, მოკლედ გაუწყებთ იმის შესახებ, თუ როგორ მიმართა კოლეჯი „გამას“ პედაგოგმა ქალაქ ზუგდიდის მერს (ირაკლი გოგოხია) გრძელჟამიანი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხში დახმარებისთვის. გარდა ამისა, მხილებული იყო დირექტორთან (გიორგი ფარულავა) დაკავშირებული „პერფექციონიზმის“ სხვა ელემენტებიც. შემაშფოთებელია ის განურჩევლობა, რომელსაც უცდომელი **ex cathedra** მერი ავლენს თავისი პასუხით, რათა ჭეშმარიტება მითად აქციოს. მერის განმარტებით, „აღნიშნული პრობლემის გადაჭრა სცილდება მერიის **კონპეტენციას**“! ძირს გრამატიკულად სწორი „კომპეტენცია“! ხელები ავწიოთ, შევდაღადოთ: ხმა მერისა და ხმა მუნიციპალიტეტისა!

დავუშვათ, პედაგოგის განცხადებაში აღნიშნული სხვა საკითხების „გადაჭრა“ არ ეხება მერიას. მაგრამ რა მოვუხერხოთ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხს? აქსიომაა, რომ ყველა ქალაქის ქვაკუთხედი არის **ბიუჯეტი**. იგი მასწავლებლების ხელფასის ნაწილითაც ივსება. ნებისმიერი ხელისუფლის მხრიდან ბიუჯეტის მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენა საბედიწერო შედეგით მთავრდება. ევროატლანტიკური სივრცის კანონთა მოშველიების გარეშეც, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თვალნათლივ წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის „კონპეტენციას“: „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს **ნებისმიერი** საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“. როგორც ჩანს, კოდექსის მუხლსა და პუნქტს ბევრი რამ აქვს საერთო რეალობასთან. მერის სიტყვების განმაცვიფრებელი რიტუალიზაციის მიუხედავად, კოდექსის ენა, მაინც, ურყევია: „მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი თვითმმართველ თემში და **მერი** თვითმმართველ **ქალაქში**. **გამგებელი-ერი** წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად“. ამრიგად, თვით ფაქტის ძალით, დევალვირდება მერის ფრაზა: „მე არ მეხება“. არჩეული მერი ამომრჩეველ მასწავლებელს თავისი ვერდიქტით ისე უსწორდება, თითქოს იგი **„ჰოლოცენის ეპოქის ადამიანი“** იყოს.

მთხოვნელთან მიმართებით, აქ პარალელი უნდა გავავლო მერის პასუხსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის (გონერი პაპავა) ესქტრაპოლაციურ ქმედებას შორის. სანამ მერს მიმართავდა, პედაგოგი პაპავასთან მივიდა, მაგრამ მისი მცდელობა ჩაიფუშა. თითქოს გამართლდა თეოდორ ადორნოსა და მაქს ჰორკჰაიმერის ნაშრომში — „განმანათლებლობის დიალექტიკა“ — გამოთქმული შეხედულება იმის შესახებ, რომ განმანათლებლობა წარმოადგენს მასებისა თუ ინდივიდების მოტყუების საშუალებას: პაპავა და ფარულავა ჰეტეროგლასურად, თითქმის ერთი წლის მანძილზე „დროს უწელავდნენ“ განმცხადებელს. მართალია, პაპავამ, მისივე მტკიცებით, ინფორმაცია მიაწოდა ზემდგომ ფუნქციონერს, მაგრამ, ალბათ, მერკანტილური განზრახვის არარეალიზებიდან გამომდინარე, რესურსცენტრის უფროსმა მარილიანი წყლით დაიბანა ხელები.

მერისა და რესურსცენტრის უფროსისთვის შეუძლებელია ჭეშმარიტების წინაშე თვალების შემართვა: ეტყობა, იგი აბრმავებს. უმზერს პირველი და მის ხელმისაწვდომ მარცვალს ჩამოკენკავს. უყურებს მეორე — ამჩნევს სხვას. დაბოლოს, თუ ამათ ერთად შევაერთებთ, მივიღებთ აპორიას. სიზმარეულ ულოგიკობაში ერთ გორგლადაა შეკრული დირექტორი, რესურსცენტრის უფროსი და მერი. მაგრამ, ამავე დროს, ტიპობრივი კლასიფიკაციით, ისინი სრულიად განსხვავებული მიმდინარეობისანი არიან. საგანმანათლებლო ნიაღვრის ფუნქცია — თაღლითობა და ვერცხლისმოყვარეობაა, მუნიციპალური პრინციპის ნაკადის ნიშნადობა კი — უსამართლობა, ავტომატიზებულობა, ალოგიკურობა. ეს იმ არარაიდან გამოღწეულ არსებებს ემართებათ, რომელთა სულიც მხოლოდ ქვესკნელის უკუნს ჭვრეტს. სწორედ ამით აიხსნება დერივაციული ქცევის საიდუმლო, მთხოვნელთან მათი დამოკიდებულების ფიზიოგნომიკა.

ნუგზარ გულიორდავა

1. ქალაქი ინგლისში
2. შეჯიბრის ფინალის მონაწილე
3. . . . ცვიდი
4. შუშხური ღვინო
5. მთის ფერდობზე მოწყობილი რეკინგზა
6. სეფერილის შემოდგომე-ლი ჯადოსნु-რი თვალი
7. ანდამატი
8. თოფის სამიზნე
9. ფეხბურთის ეურაინელი მწვრთნელი
10. ყურებთან ჩამოშვებული გრძელი თმები
11. მდინარე ციმბირში
12. „ჩელსის“ ფრანგი ფეხბურთელი
13. მოკლე ზედა სამოსი
14. დელონი ფილმში „.. და მისი ძმები“
15. ფრანგული ყველი
16. დარტანიანის შშობლიური მხარე
17. ოპერის ბერძენი მომღერალი მარია . . .
18. იტალიური ავტომობილი
19. შაკიკი ანუ . . .
20. ფრანგი მსახიობი ანუ . . .
21. საგუმაგო სადარაჯო პუნქტი
22. ხმელი ტოტის ჩამონატეხი
23. საცეკვაო კაბარეში
24. ტვირთის ასწევი კიდეული მოწყობილობა
25. ოპტიკური ხელსაწყო
26. არაბების ბატონობის ხანა
27. ყელის ნაწილი
28. წელზე შესაკრავი ელასტიკური ღვედი
29. ფალუხების ფირმა
30. კურორტი ქობულეთში
31. დიდი მატყურა პერსონაჟი ზღაპრიდან
32. სამკურნალო დაწესებულება
33. სახელმწიფო საშს. აღმ. აზიაში
34. ნაწილობრივ სიბნელე
35. ჰიტლერის ცოლი ევა . . .
36. ფასის ყოფილი აწევა აუქციონზე
37. უმოქმედო, არაენერგიული
38. ჭკუასუ-ტების სამ-კურნალო და-წესებულება
39. დასასვე-ნებელი ტყე ქალაქთან
40. . . . სტოუნი
41. საკანცელარიო ნივთი
42. ეკურალს-ტის როლშია „რომაული არ-დადეგებში“
43. ავტონო-მია რუსეთის ფედერაციაში
44. იაპონური ტექნიკა
45. ფეიძლის სამკურნალო მკენარე
46. ყველ ლროის საუკე-თესო ამერიკე-ლი ჰიპიტი
47. გამყურებელი ხმაური
48. ლატვის დედაქალაქი
49. შატვარი დინარა . . .
50. „პარსიფალის“ კაპიტანი
51. ინგლისუ-რი გაზეთი
52. საპირფარეშოს დგამი
53. „ეზაფხული შემოსულა . . .“
54. „პაიერნის“ ფეხბურთელი
55. ნოყხა
56. ფილმი პი-ტისა და რო-ბერტსის მონა-წილეობით
57. მამული ლათინურ ამერიკაში
58. ბერძნული სპრესოლი ეტლი
59. ქალაქი ისრაელში
60. ამერიკის შეტყობელი
61. „მილანის“ ფეხბურთელი
62. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა
63. ნაკლოვი გალაობა-რებელი
64. ქამანდი
65. ფულის შესანახი ყუთი
66. მოაჯირის სვეტი

თავსატეხი



შვეულად: აგატა, აბელი, ეკალა, ვინტი, ნადია, ობამა, ოზონი, ონილი, პაწია, სათლი, ტეტია, უფიცი, შონია, ცოდნა, ძაბრი, ხამსა, ჭურია.

თარაზულად: აბატი, აბელი, აფსკი, გაბრო, ზურნა, თავლა, თამრო, იანკა, იორღა, კიანუ, მუშტი, ნანკა, ჟამნი, რემბო, სახრე, ფიშტო, ქინძი, ჩანგი, წრომი, ჯვალო, ჰაგა.

სავიდან ერთი



შვეულად: 1. კედელი, სახელო, ბულონი. 2. დუქანი, დეგოლი, დალასი. 3. სიგარა, წამალი, მეთოდი. 4. ტატრა, ტანგო, ტალკი. 5. ლავრა, კანჭი, ჯართი. 6. ადამსი, ერეკლე, იდილია. 11. პასკალი, კარმენი, კოსმორი. 12. რექსონა, ბარკასინ შანდალი. 13. გარეჯი, ვისოლი, ჭედილა. 14. ბახუსი, კატერი, ნიკოლო. 15. ცამეტი, პუდელი, მანათი. 18. კროუ, ჭუკი, ჩითი.

თარაზულად: 3. საგარეჯო, სამოვარი სატელიტი. 7. ბაბალე, ჯუღელი, ფერარი. 8 კაროკანი, გალავანი, დედალოსი. 9. ტოროლა, კურარე, ბერიკა. 10. პარასოლი, შორაპანი, რიიკარდი. 13. ვინიცა, სახელო, ხელობა. 16. დალაქი, ბარაქა, კოზირი. 17. დუმილი, ღალატი, სიკიმი. 19. კლარუსი, ელერონი, პროცესი. 20. მამალი, ლოლიტა, ტიტიტნი. 21. პრომეთე, ყვარელი, კვიმატი.

ფიფქვოანდი



ა–9 ს–3
ბ– ტ–
გ– უ–7
დ–24 ფ–
ე– ქ–
ვ– ღ–
ზ– ყ–
თ– შ–
ი–2 ჩ–
კ– ც–
ლ– ძ–
მ– წ–27
ნ– ჭ–
ო–25 ხ–
პ– ჯ–
ჟ– ჰ–
რ–17

„ბიზნესი“ ქართველებს

ძნელი სათქმელია, პირველად ვინ მოიგონა, მაგრამ ერთი ჯიხურის ჩადგმა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თბილისი ჯიხურების ქალაქად იქცა. უცნაური ის გარემოება გახლდათ, რომ ჯიხურები ერთმანეთის გვერდით იდგნენ, ამასთან, ყველგან ერთნაირი საქონელი იყიდებოდა და ფასიც ერთნაირი ჰქონდათ დაწესებული. „ვაჭრობა არა გვაქვს, პურის ფულს ძლივს ვაკეთებთო“, წუწუნებდნენ ჯიხურების მეპატრონეები, აღარაფერს ვამბობთ ბაზრობებზე, რომლებიც ასე მრავლად არის ქვეყანაში, რადგან ყველას „ბიზნესმენობა“ სურს.

თარდება ჩვენს ქვეყანაში. „საქართველო ტურისტული ქვეყანა უნდა გახდესო“, გაიძახოდა ყოფილი ხელისუფლება. სინამდვილეში, საამისოდ რას აკეთებდა, კარგად ვნახეთ. დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი „ლაღიძის წყლები“ ჯერ გააუქმა და შემდეგ მაღაზია საერთოდ გაყიდა. სამაგიეროდ, იქ ახლა ტანსაცმლის მაღაზიაა. საინტერესოა, უცხოელი ტურისტები თბილისში თავიანთივე ქვეყანაში დამზადებული ნივთების შესაძენად აქ რატომ უნდა ჩამოვიდნენ? თუმცა ეს სხვა თემაა, რომელსაც მომავალში დავუბრუნდებით.

ტურიზმიო, თქვა ქვეყნის დამაქცევარმა სააკაშვილმა და ბევრმა აიტაცა. რატომღაც დაიჭირეს მისი ტრადიციულად ქცეული სიცრუე, რომ თურმე საქართველოშაი იმდენი ხალხი ჩამოვიდოდა, ვერსად დავტევდით.

დაიწყო სასტუმროების მშენებლობის ბუმი. ზოგიერთმა ბანკიდან კრედიტიც აიღო, მაგრამ დღემდეც ვერ დაუფარავს. უბრალოდ, ვერ გაითვალისწინეს, რომ ტურისტს იაფი ბინა, სხვადასხვა განვითარებული ინფრასტრუქტურაც სჭირდებოდა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ნაკლებად გვქონდა. სამაგიეროდ, სასტუმროები იხსნებოდა და ახლაც იხსნება, ზოგიერთ ისეთ ადგილას, ტურისტი კი არა, იქ მაცხოვრებელი ძლივს მიაგნებს.

მოდით, ვაღიაროთ სიმართლე და ვთქვათ, ბევრი სასტუმრო სულაც არ იხსნება ტურისტებისთვის., ქვეყნიერების ერთ-ერთი უძველესი „პროფესია“ პროსტიტუცია ჩვენთან ოფიციალურად აკრძალულია, მაგრამ მეძავთა მომსახურებით ბევრი სარგებლობს. სწორედ ამ მიზნისთვის ხსნიან სასტუმროებს. იყო კურიოზული შემთხვევებიც. ერთ-ერთ ასეთი ტიპის დაწესებულებაში კაცი და ქალი მივიდნენ. თუმცა მომსახურე პერსონალმა ქალის შეშვებაზე სასტიკი უარი განაცხადეს. „ქალების გარედან შემოყვანა არ შეიძლება, ჩვენი ქალები გვყავსო“, აუსხნეს მამაკაცს.

მივადექით მთავარ სათქმელს. ნებისმიერი საქმის წამოსაწყებად ფული რომ არის სასჭირო, აქსიომაა. იქნებ დროა, საქართველოში ვისწავლოთ ფულის რაციონალურად დაბანდება. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც არაფერი იწარმოება და მხოლოდ იმპორტზე იყოს დამოკიდებული. სამწუხაროდ, ჩვენთან ელემენტარულად ცხვირსახოციც არ იწარმოება. სასტუმროების მშენებლობის მშენებლობას და პროსტიტუციის ნაცვლად ხომ არ აჯობებს თუნდაც მცირე სამკერვალო საწარმოები გაიხსნას, რომელიც გაცილებით მომგებიანი იქნება. ამასთან, საამქროს გახსნა უფრო იაფი დაუჯდება მეწარმეს, ვიდრე სასტუმროს მოწყობა, მით უფრო, თუ ეს დაწესებულება მიყრუებულ ადგილზეა და ახლოს მეორე მსგავსი დაწესებულებაა.

იმპორტი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ხარისხიანია, სამწუხაროდ, ჩვენთან მდარე პროდუქცია შემოედინება, სამაგიეროდ, ვალუტა გაედინება. ამით კი ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ რედაქცია
თანაგრძნობას უცხადებს ჟურნალისტ
ზურაბ ქობალიას დედის
ნათელა აბშილავა-
ქობალიას
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა ხუთშაბათს,
ქ. ზუგდიდი, ს. ნარაზენი

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

-რა ვადაში გაქარწყლდება ნასამართლობა?

-მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მზედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მზედველობაში არ მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

მუხლი 99. ხანდაზმულობის ვადები

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლებისას ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები განახევრდება.

მუხლი 100. ნასამართლობის გაქარწყლება (4.07.2007 ნ5196)

იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

* * *

- რა შემთხვევაში გააჩნია სისხლის სამართლის კანონს უკუძალა?

- მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

4. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

ავეჯის
გადაზიდვა

593 20 46 87

მამუკა მახარაშვილის ხსოვნას

უკვე მეჩვიდმეტე შემოდგომა მიილია უშენოდ, ჩვენო მამუკა. მეჩვიდმეტედ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს, ოღონდ შენ არ ხარ ჩვენთან. თუმცა ყოველთვის ჩვენს თვალწინ ხარ, არასდროს გვავიწყდები... მართლაც ტყუილი ყოფილა, „დრო ყველაფრის მკურნალიაო“, რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს ჩვენს გულებში უშენობით გამოწვეული სევდა...

დღეს 29 ოქტომბერია, 46 წელი შეგისრულდებოდა დღეს.

გილოცავთ და ღმერთს ვთხოვთ ნათელში გამყოფოს მარადიულად. ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია, იმის გარდა, რომ ვილოცოთ.

ძალიან გვენატრები და გაასმაგებულად გვიყვარხარ.

ოჯახი

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

საყვარელი პროდუქტების მავნეობის შესახებ

პროდუქტების არასაკმარისი თერმული დამუშავების, ან მათი არასწორად მომზადების შედეგად ადამიანის ორგანიზმში მოსალოდნელია კანცეროგენები წარმოიქმნას.

კვების ნაციონალური ინსტიტუტის ცნობით, საშიში შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი საკვები პროდუქტები. ეს პროდუქტები მდიდარია ნახშირწყლებით. მათი არასწორი დამუშავების შემთხვევაში აკრილამიდი წარმოიშობა, რომელიც კიბოს წარმოქმნის მთავარ მაპროვოცირებელ საშუალებად იქნა აღიარებული ჯერ კიდევ წლების წინ.

ამიტომაც მეცნიერები გვირჩევენ, წყალბადით მდიდარი პროდუქტრები 175 გრადუსზე მეტ ტემპერატურაზე მოამზადოთ.

მაღალი თერმული დამუშავება უნდა მოხდეს 36 გრადუს ცელსიუსზე.

პროდუქტების დამუშავების უმაღლესი ტემპერატურა თითოეულ პროდუქტს სხვადასხვა აქვს.

ექიმები მიიჩნევენ, რომ პატარა ბავშვებს არ შეიძლება ხშირად ვაჭამოთ ბრინჯის ე.წ. „ხლებცები“, პური და ბრინჯის ფაფა.

კერძები, მოგეხსენებათ, მაღალ ტემპერატურაზე მზადდება, რითაც მასში შეიძლება წარმოიქმნას არაორგანული საწამლავი. ასე რომ, ბრინჯის კერძების მოყვარულნო, გაფრთხილებთ, ბრინ-

ჯს და მისი შემადგენლობით მომზადებულ სხვა კერძებს თუ ყოველდღე მიირთმევთ, წარმოიდგინეთ, რომ ონკოლოგიის ცენტრში შეიძლება მოხვდეთ.

ბრინჯის მსგავსი პროდუქტები, პური და კარტოფილი ღუმელში უნდა მომზადდეს, რომლის ტემპერატურა 120 გრადუსი იქნება. ნაკლებ ტემპერატურაზე მომზადებული პროდუქტი კიბოს იწვევს, – აღნიშნავენ მკვლევარები.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – კარგი სიახლე და საუკეთესო პერსპექტივები გელოდებათ. მოთმინება იქონიეთ ოჯახსა და სამსახურში. სირთულეებს ადვილად გაართმევთ თავს.

კურო – გაგიჩნდებათ პრობლემები და, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მაინც ვერ დასძლევთ. გულს ნუ გაიტეხთ, თუ გადახედავთ განვლილ დღეებს, კმაყოფილი დარჩებით.

ტყუპები – თქვენს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გაჩნდება. აგიხდებათ ულამაზესი სიზმარი. სასიამოვნო ცვლილებები გელით.

კირჩხიბი – გამოიჩინეთ სიფრთხილე. ერთ-ერთი ნაცნობი ეცდება, საკმაოდ უსიამოვნო საქმეში ჩაგითრიოთ. ხუთშაბათს პერსპექტიულ წინადადებებს შემოგთავაზებენ.

ლომი – სასურველია, ფული დახარჯოთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ეს კვირა უფრო მეტად დაგარწმუნებთ საკუთარ შესაძლებლობებში. სამშაბათს გელოდებათ სოლიდური ჯილდო. ტელეფონით მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ქალწული – შემოთავაზებული საქმე კარგად აწონ-დაწონეთ. ეს კვირა კარგ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო თვალსაზრისით. დასაშვებია კბილების ყველანაირი მკურნალობა.

სასწორი – გირჩევთ, აქტიური ქმედებისაგან თავი შეიკავოთ. პარტნიორებისგან კარგი სიახლეა მოსალოდნელი. კვირის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ, ხუთშაბათს, აგისრულდებათ სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობთ.

მორიელი – ეს დღე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გპირდებათ. ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში წარიმართება.

მშვილდოსანი – შეიძლება, უხერხულ და გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, თუმცა ადვილად დაძლევთ პრობლემას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თქვენთვის.

თხის რქა – შანსი გაქვთ, გამონახოთ კარგი, შემოსავლიანი სამსახური. გელით საჩუქარი და მხიარული სუფრა თქვენთვის სასურველ საზოგადოებაში.

მერწყული – საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა ურიგო არ იქნებოდა. მოულოდნელად შეიძლება უცხო გარემოში მოხვდეთ. გაგიჩნდებათ ახალი საქმიანი ურთიერთობა, აუცილებლად პერსპექტიული.

თევზები – სასიყვარულო შეხვედრა და შთამბეჭდავი მოვლენები გელოდებათ. იყავით კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63